



სოციალ-დემოკრატიული საპროლეტარო და სალიბერალური გაზეთი

კვირა, 4 ნოემბერი. 1907 წელიწადი პირველი.

საპროლეტარო, სამეცნიერო და სალიბერალური გაზეთი


„ს ი ს კ ა რ ი“

გამოდის 1907 წ. 16 სუბსკრიბირდან, კვირაში ერთხელ.
ერთი წლით ღირს 3 მ., ნახევარი წლით 2 მ., ცალკე № 5 კ.
განცხადება—წინა გვერდზე პუკარი 10 კ. უკანასკნელზე 5 კ.
ფოსტის ადრესი: *Кутаись, редакция „Цискари“.*


შ ი ნ ა ა რ ს ი:

მარქსიზმის „კრიზისი“, შვარცისა.—ლილია ჭავჭავაძე. საღამო, 5-გ-ისა.—კიდევ სათ. აზნ. სასწ. მომხდარ ინციდენტის გამო.—სხვადასხვა ამბები.—ლეჟი ვ. ჩაზრუხაძისა.—გერმანიის მუშათა კლასი და რუსეთის რევოლუცია.—მოღვაწეთა მოღვაწეობა, წელკავისა.—ჩვენი ქალაქის თვითმართველობა, გრ. ნასარიძისა—შენ და მე, „ფილიატისა“.—მუშათა შოლის.—ლია წერილი ს. სურების ინტელიგენციისადმი, ზ ვარიკისი.—პედაგოგოვ. ჟურნალები მასწავლებელთათვის, ვ. ობჩელისა.—მწიგნობრობის გავრცელების საქმე რაჭა-ლეჩხუმში, ისილორე კვიციანიძისა.—სოფლის ამბები..

მესამე დუმიან ქართველი დეპუტატები.



კარდლა ჩხეიძე.



გოგენა გოგენაძე.

მარქსიზმის „კრიზისი“.

II.

როგორც პირველ წერილში ვთქვით, სოციალდემოკრატიულ პარტიის გაძლიერებას, მარქსისტულ მუშათა ორგანიზაციას წინ აღუდგა, ეგრეთ წოდებული, პროფესორთა არმია, რომლებიც მთელი თავიანთი მეცნიერების ბატარეებით მიესიენ მარქსის „კაპიტალს“ და იწყეს მისი თავისებური კრიტიკა, მისი ავტორიტეტის ხალხში გაბათილება. მარა პროფესორთა ამგვარი კრიტიკა საუკუნოვო საშვალეა იყო „კაპიტალის“ შინაარსის ხალხში გავრცელებისათვის; ერთი სიტყვით, მათ კრიტიკასთან ერთად იზღებოდა და ვრცელდებოდა მარქსის მოძღვრების ავტორიტეტი მისი გავლენა ხალხზე.

მარა მაინც არ შეიძლება ითქვას, რომ მარქსის სიკვდილის დროს, მის მსოფლ-შეხედულებას და მაზედ აშენებულ პრაქტიკას მთლათ ქონდა დაპყრობილი ინტერნაციონალური მუშათა მოძრაობა. უწინარეს ყოვლისა, რომანიულ სახელმწიფოებში პრუდონიზმ-ბაკუნისმი ჯერ ისევ ღონივრათ ფარფაშობდა; სწორეთ მარქსის სიკვდილის დროს თვით ავსტრო-უნგრეთშიაც კი გაძლიერდა ერთგვარი ბაკუნისმი. იმ ხანებში თეორიული მარქსიზმი უფრო მეტათ იყო შებოქვილი, ნაკლებათ იყო გავრცელებული, ვიდრე პრაქტიკული მარქსიზმი გერმანიაში, საცა თეორიულ მარქსიზმის შეგნებას უფრო მკიდრო ნიადაგი ქონდა მომზადებული, მარქსიზმის მსოფლ-შეხედულებასთან ერთათ არსებობდა დიურინგის, როდბერტუსის და ლანგეს მიმართულებანი, რომლებიც საკვებით ეწინააღმდეგებოდენ მარქსიზმის მოძღვრებას.

1877 წელს, როცა გერმანიის სოციალდემოკრატებმა მეცნიერული ჟურნალი „მომავალი“ გამოცეს, იგი არ იდგა წმინდა მარქსისტულ ნიადაგზე, პირიქით, შიგ ხშირათ ანტიმარქსისტული პროგრამები ირკვეოდა, რომლის შესახებ ორგანოს ხელმძღვანელნი პაწია შენიშვნასაც კი არ აკეთებდენ. მეორე მეცნიერულ ორგანოს, რომელიც მაშინ ციურინში გერმანულ ენაზე გამოვიდა, „ახალ საზოგადოებას“, არ ქონდა არავითარი პოლიტიკური პროგრამა.

თითქო ერთის დაკვრით, მთლათ გარემოება შეიცვალა. სულ არ გასულა ათიოდე წელიწადი და მარქსიზმა თითქმის მთელი სოციალისტური ქვეყნები დაიმორჩილა, როგორც ეს 1893 წ. ციურინის ინტერნაციონალურ კონგრესმა დაგვანახვა. ის ოვაციები, რომელიც ფრიდრიხ ენგელსმა ციურინის კონგრესზე გამოიწვია, დიდათ მნიშვნელოვანი ფაქტი იყო მარქსიზმისათვის. მარქსიზმა მოიცვა

მთელი სლავიანთა სოციალიზმი, მთლათ შებოქა რომანიულ სახელმწიფოებში ანარქიზმი; დიდ ბრიტანიაში მან ხელახლა მოიპოვა თავისი გავლენა მუშათა პროფესიონალურ კავშირებზე, სახელდობ ახალ უნიონისტებზე.

ახლა მარტო პრაქტიკულმა მარქსიზმა კი არ მოიპოვა საპატიო ალაგი, თვით თეორიული მარქსიზმიც ძალიან განვითარდა. გაქრა დანარჩენი მრავალი ფერის სოციალისტური თეორიები, მხოლოთ მარტო მარქსის მეცნიერული სოციალიზმი დარჩა დიდათ მნიშვნელოვანი. თეორეტიკოსებს, როგორც პრუდონს, როდბერტუსს, დიურინგს, ლანგეს, რომლებსაც ოთხმოციან წლებში დიდი გავლენა ქონდათ მუშათა კლასზე და სოციალისტურ ინტელიგენციაზე, დაეკარგა ყოველივე ცხოველ-მყოფელი მნიშვნელობა, როგორც მუშათა მოძრაობისთვის, ისე სოციალისტურ აზროვნებისთვის.

ასე, ამ ხანებში მარქსიზმი მედგრათ დაექანა წინმსვლელობის გზაზე; სოციალისტთა მომავალ თაობისთვის ამისი შესწავლა მოდათ გადაიქცა; ვისაც კი არ უნდოდა, რომ რეაქციონერის სახელით მონათლულიყო, მას უთუოთ მარქსი უნდა შეესწავლა. მაგრამ მარქსიზმი ისეთი ღრმა მცნებაა და ამავვე დროს ისეთი რეალისტური, რომ მისი შესწავლ-შეთვისება თხოულობს ერთნაირ მეცნიერულ მომზადებას, ენერგიულ შრომას... იგი, როგორც სხვა ფილოსოფიური სისტემა, მოითხოვს სისტემატიურ შესწავლას, მოდის ადამიანს კი, როგორც ვიცით, ამისთვის არც დრო აქვს და არც ხალისი. აი, ამისთანა „მოდური“ მარქსისტები ჩვეულებრივ კმაყოფილდებიან მარქსის რთულ სისტემიდან ამოღებულ ორიოდე გაცვეთილ და ელემენტარულ ფორმულებით და ასეთ ზერეფე ცოდნით აღჭურვილი ვაჟ-ბატონები ეკონომიურ ცხოვრების ანალიზს ლამობენ. რასაკვირველია, ამ ჯურის მეცნიერნი ეკონომიურ მოვლენების ანალიზის დროს წინააღმდეგობაში ვარდებიან, ეკონომიურ ფაქტების მნიშვნელობას ვერ არკვევენ, თავი და ბოლო ერევათ და მერე ზურგს აქცევენ მარქსიზმს, როგორც ვითომდა ცხოვრებასთან შეუთანხმებელ მოძღვრებას, — გადადიან მოწინააღმდეგე ბანაკში და იქიდან იწყებენ მის აბნეულ-დაბნეულ კრიტიკას, მის რევიზიას, მისი ძირითადი მცნებების შესწორებას.

ასე დადგა მარქსიზმის მესამე კრიზისის ხანა, რომელიც დღეს-დღეობით თითქმის უკვე დაძლეულია. ჩვენ, მთელი ჩვენის კმაყოფილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ უკანასკნელმა კრიზისმა, ეგრეთ წოდებულმა რევიზიონისტთა კრიტიკამ, მარქსიზმს გაცილებით ნაკლები ზარალი მოუტანა, ვიდრე ორმა წინანდელმა კრიზისმა.



უწინარეს ყოვლისა ფრიად საყურადღებო ის არის, რომ უკანასკნელი კრიზისი სრულიათა ც არ შეეხო პრაქტიკულ მარქსიზმს. რასაკვირველია ეს ასეც უნდა მომხდარიყო. მარქსიზმის წინანდელი კრიზისები გამოწვეული იყო დიდი პრაქტიკული დამარცხებით, ამისათვის მათ მეტი ზარალი მოუტანეს მარქსიზმის პრაქტიკულ მოძრაობას, ვიდრე თეორიულს. უკანასკნელი კრიზისი კი წარმოიშვა სწორეთ მაშინ, როცა პრაქტიკული მარქსიზმი თავის ვითარების უმაღლეს წერტილზე იდგა; მას არ ქონდა არავითარი გარეგნული საბუთი, თუ, რასაკვირველია, მხედველობაში არ მივიღებთ მეორე უდიდეს თეორეტიკოსის—ფრიდრიხ ენგელსის—სიკვდილს.

შეიძლება, ზოგიერთმა საფრანგეთის და იტალიის სახელმწიფოებზე მიგვითითონ, საცა ამ ხნის განმავლობაში პრაქტიკული მარქსიზმი დაქვეითებული იყო. მაგრამ იქაც, თვით იმ ელემენტებზე, რომლებიც ხელს უშლიდნენ პრაქტიკულ მარქსიზმის აღორძინებას, უკვე იწყეს სოციალდემოკრატიულ პარტიისაკენ გადასვლა. თვით ის სოციალისტური პარტიებიც კი, რომლებიც მთელ თავიანთ ძალას მარქსიზმის კრიტიკაზე ხარჯავდნენ, ისინიც კი არ უარყოფდნენ კლასთა ბრძოლის ტაქტიკას, კლასობრივ სოლიდარობას. მათთვის კლასთა ბრძოლას ტაქტიკა ერთადერთი და ამასთან ბრძოლის საუკეთესო როლის იარაღი იყო, ესენი ებრძოდნენ და ებრძვიან დღესაც, ეგრეთ წოდებულ სოციალდემოკრატიულ ცენტრალიზმს, პარტიულ დისციპლინას და სხვას... ზევით დასახელებულ სახელმწიფოებში მაინც მარქსისტული მუშათა მოძრაობა უძლიერესი მოძრაობაა, რომლის ძალა და ორგანიზაცია 1893 წლიდან დღითიდღე იზდება.

რამდენათაც საფრანგეთში და იტალიაში მარქსისტული მუშათა მოძრაობა შედარებით მცირე იყო, იმდენათ სხვა სახელმწიფოებში უფრო მეტათ გაიზარდა: ჰოლანდიაში, საცა ამ ათი წლის წინათ მარქსიზმის კრიზისი ასე ძლიერი იყო, დღეს იგი მთლათ დაძლეულია. პრაქტიკული მარქსიზმი იზდება და ვითარდება. თვით ამერიკაშიაც კი ამ უმათ განვითარდა ნამდვილი სოციალდემოკრატიული პარტია, რომელიც დიდ გავლენიანი მოძრაობა მთელს ამერიკაში. ამას მოსდევს რუსეთის სახელმწიფო, საცა მთელი პროლეტარული მოძრაობა წმინდა მარქსისტულ ნიადაგზე დგას. ნამდვილ მოძრაობის ყოველ გადადგმულ ნაბიჯს, მარქსის თქმისა არ იყოს, მეტი ფასი და მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ას პროგრამას. რევოიონისტების კრიტიკამ, რომელიც მიმართულია სოციალდემოკრატი-

ულ პროგრამის წინააღმდეგ და რომელიც მარქსიზმის მესამე ზრისის გამოიწვია, მუშათა პოლიტიკურ და ეკონომიურ მოძრაობას ოდნავათაც ვერ ავნო.

შვარცი.



ილია ჭავჭავაძის სალამო.

ილიას ხსოვნის პატივსაცემლათ ქუთაისშიაც გაართეს სალამო 27 ოქტომბერს. სამწუხაროთ, ეს სალამოც ისეთი უფერული და სუსტი იყო, როგორც თუილისის სალამოზე სწერენ. მართალია, კარგი იყო სიმებიანი ორკესტრი, გვარიანათ გალობდა სააზნაურო შკოლის მოწაფეთა გუნდი, შვენიერი იყო ცოცხალი სურათი, მაგრამ მთავარი არ ყოფილა. უეჭველია, ამ სალამოს დანიშნულება ის უნდა ყოფილიყო, რომ დამსწრე საზოგადოებისთვის დაენახებია ის, რაც განსვენებულ მგონის სილიადეს გამოხატავს, მაგრამ სწორეთ ამ მხრით სუსტობდა სალამო, როგორც პროგრამით, ისე შესრულებითაც. მცირედ გამოჩაკლს წარმოადგენდა მხოლოდ ი. ჭავჭავაძის სცენა „მიროვი პოსრედნიკთან“, რომელიც მართლა საუცხოვოთ ჩაატარეს ქან ჯავახიშვილმა და ბნ მგალობლიშვილმა.

სამაგიეროთ, ამ სალამოზე საყოველთაო ყურადღება მიიქცია ბნმა კიტა აბაშიძემ. პროგრამის მიხედვით იმას უნდა წაეკითხა ი. ჭავჭავაძის „მოკლე ბიოგრაფია“, მაგრამ ნამდვილათ კი ის შეუღდა გაუთავებელ რეველის გაუთავებელ კითხვას, სადაც ერთი სიტყვაც არ ყოფილა მგონის ბიოგრაფიაზე. ეს იყო რეფერატი, რომელიც უფრო ცილისწამებას შეიცავდა, ვიდრე პოეტის ნაწერების დახასიათებას. „ბატონებო!—ამოიკითხა იმან დაახლოვებით,—დადგა დრო, როდესაც ჩვენ არც ერთი ცოცხალი არ უნდა ვიყოთ, მარა, ჰოი საკვირველებავ, მე ვლაპარაკობ, თქვენ ზიხართ და მისმენთ, მაშასადამე ჩვენ ცოცხლები ვართ. არა მჯერა კი... ილია ჭავჭავაძის სიკვდილით მოკვდა ქართველი ერი... ეს აქსიომაა, ეს ქვეშარიტებაა, ეს აუცილებლობის კანონია... არა, უკაცრავათ, მგონი ცოტა შევცდი, ქართველმა ერმა ცოტა წინეთ დაიწყო სიკვდილი, სწორეთ იმ დროს, როცა ჩვენში გაჩნდა მიმართულება, რომლისთვისაც სამშობლო, სამშობლო ენა, მშობლიო ერი, უცხო სიტყვაა, მეტსაც ვიტყვი—სამარცხენოა... სამშობლოს ხსენება ბრბოს ბნედასა გვრის... ილიას სატრფო სამშობლო იყო, მას ეალერსებოდა, პოეზიის შანაარსათ იგი გაიხდა... აა, ამ სამშობლოს საყვარულისთვის მოკლეს ილია... უმაკვალათ მკვლელობა უმაკვალათ უნდა შეგინანიათ“ და სხვა.

ასეთი ინსინუაციები ჩვენ გვესმოდა ერთ დროს, როცა პოეტის საზარელი მკვლევლობით აღწვოთებული გონება მთლათ დამორჩილებოდა გრძობას, როცა ზოგიერთ ვაჟბატონებს ვერ მოეთმინათ. მკვლევლობის მიზეზის გამორკვევამდე და თავდავიწყებით გაჰკიოდენ, სამშობლოს სიყვარულისთვის მოკლეს ილიაო. მარა გავიდა დრო, გონებამ თავისი ალაგი დაიკავა, და იმ ვაჟბატონებმაც აღიარეს: არა, ილიას მკვლევლობა პარტიის საქმე არაა, სამშობლოს სიყვარულისთვის ის არავის მოუკლავსო.

დღეს ეს ყველასათვის უდავო ჭეშმარიტებაა, მარა ბ-ნმა კიტა აბაშიძემ ამ გახუნებული ინსინუაციებით მაინც შერყვნა, წაბილწა ის საღამო, რომელსაც საზოგადოება, განურჩევლათ მიმართულებისა ბლომით დაესწრო, და შეურაცყო იმ პოეტის ხსოვნა, რომლის პატივსაცემლათ საღამო იყო გამართული.

როდემდის?!

ნ—გ.

ქიქვი სათ.-აზნ. სასწავლებელში მომხდარ ინციდენტის გამო.

ჩვენ არც სურვილი გვქონდა და არც აღვილი გვემეტებოდა იმისთვის, რომ სილ. ხუნდაძის ინციდენტს დავბრუნდეთ, მარა, სამწუხაროთ, გარემოება გვაიძულებს ამას.

ჩვენი გაზეთის მე-5 №-ში ჩვენ აღვნიშნეთ, სხვადასხვა ამბებთა შორის, ის ფაქტიც, რომ ბ-ნმა ხუნდაძემ შეურაცყო სიტყვით და ხელით სათავ.-აზნ. გიმნაზიის მერვე კლასის მოწაფე გრ. კ—ძე მხოლოთ იმიტომ, რომ იგი ფორმის ქუდს არ ატარებდა. ამასთანავე ჩვენ მოვიყვანეთ მერვე კლასის მოწაფეების დადგენილება: 1) მოეთხოვოს პედაგოგიურ საბჭოს, რომ ხუნდაძე გადაყენებულ იქნეს ინსპექტორის თანაშემწის თანამდებობიდან, 2) მოეთხოვოს ხუნდაძეს, რომ მან ბოლიში მოიხადოს შეურაცყოფილ გრ. კ-ძის წინაშე ან და სამედიატორო სამართალში გაყვეს მას.

ახლა ამ მოწაფეებმა „ისრის“ № 236-ში მოათავსეს წერილი, რომლითაც ისინი ვითომდა არღვევენ ჩვენ ცნობებს, მაგრამ ნამდვილათ კი თავიდან ბოლომდე ადასტურებენ. ისინი სწერენ:

„გრ. კ-ძე უფორმოდ დადიოდა.. ბ-ნმა სილოვანმა რამოდენჯერმე დაავალა ამხანაგების პირით ფორმის ტარება, მაგრამ გრ. კ-ძე ფორმას მაინც არ ატარებდა და უთხრა ბ-ნ სილოვანს, „მე ამით არაფერს ვახდენო“... 12 ოქტომბერს... ბ-ნი სილოვანი... შემოვიდა კლასში... დაინახა იგი, მივიდა და ჰკითხა: „გრიგოლ, შენ კიდევ ჯიუტობ და არ შეასრულე ჩემი მოთხოვნა“?... ორივეს გულა მოუვიდა, ორივეს მხრივ რამოდენიმე არა სასურ-


ველი სიტყვა ითქვა. ბოლოს ბ-ნმა სილოვანმა მოკიდა მკლავში ხელი გრ-ს და წაუჯიკავა... ჩვენ ამ ინციდენტმა აგვადღვია და დავადგინეთ, რომ ბ-ნ სილოვანს ჩამორთმეოდა მეთვალყურის (наблюдатель) როლი... მეორე ჩვენი მოთხოვნა იყო, თუ ბ-ნი სილოვანი სცნობდა თავის თავს დამნაშავედ, დაეკმაყოფილებინა გრ. კ-ძე. სილოვანმა... ეს ჩვენი მოთხოვნა სამართლიანად სცნო და გამოაცხადა: „მე დამნაშავედ ვცნობ ჩემ თავს ჩემის მოქმედების მეორე ნახევარში“ (როცა გული მოუვიდა მერე).

ამასთან ძალიან გვიკვირს, რით ხელმძღვანელობდა ის ამხანაგი ან არა ამხანაგი, რომელმაც ჩვენი სურვილის წინაღმდეგ ეს საქმე საჭურნალ-გაზეთოდ გახადა.

ამგვარათ თკით მოწაფეები მოწმობენ: 1) სილ. ხუნდაძეს შეტაკება მოსვლია მე-8 კლასის მოწაფე-ლესთან მხოლოთ იმიტომ, რომ იგი „ფაქტად ან ატარებდა“; 2) ბ-ნ სილოვანს „არა სასურველი“ სიტყვები უთქვია მისთვის, ე. ი. „შეურაცყოფა მიუყენებია სიტყვით“ (ჩვენ ვწერდით და ახლაც ვიმეორებთ, რომ „მამაძალი“ და „გასიკვებული“ დაუძახა); 3) ბ-ნ სილოვანს „მკლავში ხელი მოუკიდნია“ მოსწავლესთვის და „წაუჯიკავებია“, ე. ი. ხელა შეუხაა, შეურაცყოფა მიუყენებია მოქმედებით; 4) ბ-ნ სილოვანის საქციელი ისეთი გულის ამღვრევი ყოფილა, რომ ყველა მოწაფეები „აღელვებულან“ და დაუდგენიათ, „ჩამოერთვას მას მეთვალყურის როლი“ ანუ „ადმინისტრაციული საქმე“ და მოეთხოვოს მას გრ. კ—ძის დაეკმაყოფილება.

მაშ, რაში გამოიხატება ჩვენი წერილის „სიყალბე“? მართო იმ უმნიშვნელო წვრილმანში, რომ „მკლავში ხელი მოკიდა და წაუჯიკავა“-ს მაგივრათ ჩვენ ვწერდით, „სთხლიშა და ჯანჯალი დაუწყო“-ო, ან იმაში, რომ „მეთვალყურის როლის ჩამორთმევის“ ალაგას ჩვენ ვამბობდით, „ინსპექტორის თანაშემწის თანამდებობის ჩამორთმევა მოითხოვეს მოსწავლეებმაო?“ რასაკვირველია, ჩვენ ვწუხვართ, რომ ეს წვრილმანიც ფოტოგრაფიული სისწორით ვერ აღვნიშნეთ, მარა ჩვენ არ გვესმის, ანსებათად რა მნიშვნელობა აქვს ამ წვრილმანის გასწორებას. საყურადღებო მხოლოთ ის არის, რომ თავისუფალი გიმნაზიის მოსწავლეებელი და ისიც ბ-ნი ხუნდაძე, რომელსაც ისეთი მიმართულების კცათ მოაქვს თავი, რომ ფორმა ძალიან ნაკლებათ უნდა აინტერესებდეს, სწორეთ ამ ფორმას იმ ზომამდე გაუტაცნია, რომ მერვე კლასის მოსწავლეს, ვაჟაკს, ფორმის უქონლობის გამო, სასწავლებელში, სხვა მოწაფეების თანადასწრებით, ადამიანურ ღირსებას უღახავს, სიტყვით და ხელით შეურაცყოფას აყენებს! ეს ხომ უცილობელი ფაქტია.

მოწაფეებს უკვირთ, რომ ეს ამბავი, „იმათი სურვილის წინააღმდეგ“, საჭურნალ-გაზეთოდ გახდა.



ჩვენ კი სწორეთ ის გვიკვირს, რომ ასეთი აზრი გვესმის მერვე კლასის მოწაფეებისგან. შკოლის ცხოვრება საზოგადოებრივი ცხოვრების ნაწილია და იმის დამატება, რაც აქ საყურადღებო ხდება, არც სასურველია და არც შესაძლებელი. ვინც ისეთ ფაქტებს, როგორც ზემოთ აღნიშნულია, ისე უყურებს, როგორც „შინაურულ“ საქმეს, ის, სჩანს, ჯერ კიდევ პატრიარქალურ შეხედულებას ვერ გასცილებია. ამიტომ ყოველათ სამარცხვინოთ უნდა ჩაითვალოს ის გამოძიება, რომელიც თურმე სასწავლებელში გაუმართავთ იმის გამოსარკვევათ, ვინ მიიტანა „ცისკარში“ ამბავიო.

დასასრულ კიდევ ორიოდ სიტყვა: ჩვენ მოგვივიდა, ფოშტით, უსასკელა წერილი, რომელშიაც სულ ასეთი მარგალიტებია: „ბ. რედაქტორო! რამ გამოგჭამა მაგ თავიდგან ტვინი, რომ სილოვან ხუნდაძეს შენ გახეთში ამ სახით ახსენებ..... სადაც შენი თქვა, იქ ჩემიც ნუ დაგავიწყდება“ და სხვა.

კომენტარიები მეტია. არ მიულოცავთ ბ-ნ ხუნდაძეს უსასკელა წერილებით გამოსარჩლებას.*)



სსუბდასსუბა ამბები,

*** საქართველოს ინტერესების დაცვა. საქართველოს ბრწყინვალე თავად-ახნაურობამ ოთხი დიდებული თავადი გააგზავნა პეტერბურგში სახელმწიფო საბჭოს წევრის ამოსარჩევად, ი. ჭავჭავაძის ნაცვლად: ანდრია ერისთავი, ვლადიმერ მიქელაძე, დავით მელიქიშვილი და ბაგრატიონ-დავიდოვი, ახლა გაზ. „ზაკ.“ ატყობიებენ, რომ საბჭოს წევრობა თვითთველ მათგანს მოუხდომებია და ერთმანეთში ვერ შეთანხმებულან. ამის გამო ვერც ერთი მათგანი ვერ გავიდა და ისევ რუსი აურჩევიათ.

როცა ეს ვაჟბატონები ს.-დემოკრატებს აგიწებენ, ყოველთვის იმასა ყვირიან, საქართველოს საქართო ინტერესებზე უნდა ვიზრუნოთო, მაგრამ თუ ვინმემ „სახრავი ძვალი“ გადაუგდო, ძალღებვიით წაიკიდებიან და საქართველო ფეხებზე კიდიათ. ეს იმათი ისტორიული თვისებაა.

*** ფულის გატაცება. პარასკევს, 2 ნოემბერს, შუადღისას, როცა შავი ქვის მრეწველთა საბჭოს მსახურს ფილიპე გაბელაშვილს ფული აეღო ხაზინაში და მიქონდა საბჭოში, ვიდაც უცნობები თავს დასხმნან, შეუთრევიათ დეჟანში და 6.500 მანეთამდე წაურთმევიათ. თვით გაბელაშვილი დაიჭირეს.

*) ახალი ჯურის მანტუისტები გაჩენილან, რომელთაც უკისრიათ ბ. სილოვანს მფარველობა გაუწიონ.

ასოთ-ამწყობი.

* *

ამ სოფლათ ტანჯულს მეგონა
სამოთხე იყო ზეცადა
და ერთხელ მაინც მენახა
გულით მინდოდა, მეწადა.
ფრთა ფრთას შემოვკარ, გავფრინდი,
ჰაერში შევინავარდე,
მთვარეს ავშორდი, მზეს ავცდი,
ვარსკვლავნი მოვინავარდე.
არ დამიგდია ზეცისა
არც ერთი კუთხე, ნაპირი,
მაგრამ, მის ნაცვლათ, სულ სხვა რამ
ვხილვე გულის გამგმირი:
ყინვა მეფობდა ყოველგან,
სიციცხლის ძარღვი არ სცემდა,
არც ჭირი იყო, არც ლხინი,
მკვდრული სიჩუმე სუფევდა.
გული მეტკინა. დავბრუნდი.
მთლათ შემეზიზლა მყისვე ცა.
ვთქვი: „თურმე აქვე ყოფილა
სამოთხეც, ჯოჯოხეთიცა!“

3. ჩახრუხადე.



გერმანიის მუშათა კლასი და რუსეთის რევოლიუცია *)

- რეისტაგის უკანასკნელ არჩევნებში დამარცხებამ ისევ წამოაყენა ძველი კითხვა—ბურჟუაზიული ლიბერალიზმთან ჩვენს დამოკიდებულებაზე. ზოგიერთების მხრივ მწარე გოდება ისმოდა ლიბერალიზმის ასე უდროვოთ დაღუპვის გამო; საზღვარ გარეთიდან, საფრანგეთიდან, გვირჩევდენ, რომ ლიბერალიზმს გავფრთხილებოდით და მზურვნელობით მოვპყრობოდით, რადგან იგი ვითომ აუცილებლათ საჭიროა რეაქციასთან საერთო ბრძოლაში; იმასაც ამბობდენ ზოგიერთები, ჯერ-ჯერობით რამდენიმეთ თავი შევიკავოთ ლიბერალიზმთან ბრძოლაში და ვადროვოთ, რომ მან შეიძლოს თავისი კეთილი განზრახვების გამოჩენაო, მარა ლიბერალიზმზე გოდებაც და ყველა ეს რჩევა—დარიგებაც პარტიის მიერ ახლაც ისეთი აღფრთოვანებით და ისე გაბედულათ უკუგდებულ იქნა, რაც წინეთ არასოდეს არ მომხდარა. არა თუ პარტიის მარტო რომელიმე ერთ-ერთი ნაწილისათვის, არამედ გერმანიის მთელსოციალდემოკრატიისათვის ახლა უკვე ნათელი და ცხადია, რომ ჩვენ იოტის ოდნავაც არ გადავცდებით ლიბერალიზმის გულისთვის ჩვენს პრინციპიალურ პროლეტარულ პოლიტიკას. შეგნებულმა პროლეტარიატმა რეისტაგის უკანასკნელ არ-

*) იხ. „ცისკარი“ № 7.

ჩვენებიდან სწორეთ ასეთი დასკვნა გამოიყვანა: თუ ბურჟუაზიული ლიბერალიზმი შინაგანათ იმდენათ განხრწნილია, რომ იგი პროლეტარიატის ყოველ კლასათ თუ ბევრათ ენერგიულ კლასობრივ იერიშზე მზათ არის რეაქციის კალთებს თავი შეფაროს, მისი გზაც იქით ყოფილას ჩვენ შეგვიძლია ძალიანაც ვიჯავროთ, შევწუხდეთ ბურჟუაზიის ისტორიულ განვითარების ასე უკუღმართობით; მაგრამ ჩვენ სულაც არ ძალგვიძს შევაჩეროთ, ან შემოვავბრუნოთ ასეთი პროცესი მით, რომ სხვერვლათ შევსწიროთ მას ჩვენი საკუთარი ისტორიული განვითარება. უკანასკნელ არჩევნებში მომხდარ ლიბერალიზმის ლაღატით ჩვენ მხოლოდ ის გაკვეთილი შეგვიძლია მივიღოთ, რომ ახლა უფრო, ვიდრე ოდესმე, პროლეტარიატი უნდა დაემყაროს მხოლოდ და მარტო თავის საკუთარ ძალ-ღონეს, როგორც თავის უმახლობელეს კლასობრივ ინტერესებისათვის ბრძოლაში, ისე იმ ბრძოლაშიაც, რომელსაც იგი ეწევა რეაქციის წინააღმდეგ გერმანიის დემოკრატიულ განვითარებისათვის.

ასეთია ის განწყობილება, ამხანაგებო, რომელიც სუფევს ჩვენს რაზმებში, გერმანიაში: აქედან ჩვენი მუშათა კლასი გაორკეცებული ყურადღებით აკვირდება იმ ვითარებას, რომელიც დღეს რუსეთში წარმოებს. რაც ასე ცხადი შეიქნა უკანასკნელ არჩევნებას შემდეგ და რაც გერმანიის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ისეთ დიდ მნიშვნელობას ღებულობს. ეს სწორეთ ის ფაქტია, რომ კლასობრივ წინააღმდეგობათა გამწვავება და ურთიერთობათა შინაგანი სოციალური სიმწიფე გერმანიაში იმაზე გაცილებით შორს წავიდა, რის გათვალისწინება ჩვენ წინდაწინ შეგვეძლო. ბურჟუაზიულ საზოგადოების განვითარების ანალიზმა, რომელიც მარქსმა მოგვცა, ისევ იპოვა თავისი დამამტკიცებელი საბუთი, ისეთი მტკიცე, თვალსაჩინო და შეურყეველი საბუთი, როგორსაც, შეიძლება ითქვას, ჩვენ არც კი მოველოდით. მაგრამ ამასთან ერთათ ყველასთვის ცხადი შეიქნა, რომ ეს განვითარება, კლასობრივ წინააღმდეგობათა ასეთი გამწვავება, აღრე თუ გვიან, მარა აუცილებლივ, ჩვენშიაც (გერმანიაში) მიგვიყვანს მძაფრ პოლიტიკურ ბრძოლის ხანამდის.

გერმანიის პროლეტარიატი დიდი ინტერესით აღდევნებს თვალყურს თავის ძმებს, რუსეთის მებრძოლთ, როგორც თავის მოწინავე მებრძოლ რაზმს, როგორც ავანგარდს (vorhut) საერთაშორისო მუშათა კლასისას. რუსეთის სოციალდემოკრატია — პირველია, რომელსაც წილათ ხვდა მეტათ ძნელი, მარა საპატიო როლი, სახელდობ ეს, რომ გამოი-

ყენოს საფუძველნი მარქსის მოძღვრებისა სახელმწიფოებრივი ცხოვრების ჩვეულებრივ; მშვიდობიან და პარლამენტარულ მიმდინარეობის დროს კი არა, არამედ მძაფრ, რევოლიუციონურ ხანაში. მართალია, ჯერ ისევ 1848 წელს, გერმანიის რევოლიუციის წინ, ქვეყანას მოველინა ისტორიული დოკუმენტი მეცნიერული სოციალიზმისა — „კომუნისტური მანიფესტი“. მართალია, მარქსმა თვითონვე მიიღო მონაწილეობა ამ რევოლიუციაში, როგორც პრაქტიკულათ მებრძოლმა, მარა რამდენათ განსხვავდებოდენ მაშინდელი პირობები და გარემოებანი! გერმანიის მუშათა კლასი იმ დროს ძლიერს იჩენდა პირველ ჩანასახს კლასიური თვითშემეცნებისას! მარქსი თავის „ახალ რეინის გაზეთში“ იძულებული გახდა გამოსულიყო არა როგორც პროლეტარულ პოლიტიკის გამომხატველი, არამედ როგორც უკიდურესი მემარცხენე წარმომადგენელი ბურჟუაზიული დემოკრატიისა. როგორც ასეთი, მარქსი მხარს უჭერდა მოწინავე ბურჟუაზიას, მაგრამ საქმე ისაა, თუ როგორ ასრულებდა იგი ამ როლს? იგი დაულაღვა და გამუდმებით კრატიკას ქარცეცხლში ატარებდა ლიბერალიზმს, კიცხვისა და ზიზღის ღირსათ ხდიდა ლიბერალიზმის უმოქმედობას, ორჭოფობას და გამცემლობას; ყოველგვარ სიტუაციაში მას იგი რევოლიუციისკენ ეზიდებოდა. მარქსი დიდ შეტომათ თვლიდა იმ ფაქტს, რომ 18 მარტს თავის გამარჯვებით ხალხმა ვერ ისარგებლა და ნება მისცა მთავრობას შეედგინა პასუხმგებელი სამინისტრო კამპაუზუნ-განზემანისა. როდესაც ბურჟუაზიამ ძალა-უფლება ხელში ჩაიგდო, მარქსმა მას გადაქრით მოთხოვა გაბედულათ გამოსვლა დიქტატორის სახით და თავის „ახალ რეინის გაზეთში“ ამ გამოსვლას საფუძვლათ ასეთი ღებულება დაუდვა: „ყოველი გადამავალი მდგომარეობა სახელმწიფოსი მოითბოვს უმაღლეს ენერგიულ დიქტატურას“. მარქსს ძალიან კარგათ ესმოდა მაშინდელი გერმანულ „დუმის“ — ფრანკფურტის საერო კრების — უუფლებობა, მარა იგი ამაში მის შემამსუბუქებელ გარემოებას კი არ ხედავდა, არამედ, პირიქით, უთითებდა მას ერთათ-ერთ გამოსავალ გზაზე უუფლებო მდგომარეობიდან და ასეთი გამოსავალი გზა იყო — დაპყრობა ხალხის მასის მიერ ნამდვილი ძალა-უფლებისა პირდაპირი, აშკარა რევოლიუციონური ბრძოლით. წინააღმდეგ ძველი ძალა-უფლებისა მარქსი მხარს უჭერდა ბურჟუაზიას, მარა იგი ამას შვრებოდა პირდაპირ და აშკარათ და ამავდროს იცავდა, აღტაცებით ეკებებოდა პროლეტარიატის ყოველ რევოლიუციონურ გამოსვლას: იგი აღტაცებით მიეგება 18 მარტის, 14 ივნისის და სექტემბ-



რის აჯანყებებს, რომლების წინააღმდეგ ამხედრდა მემარცხენე ბურჟუაზია ბლიუზის მეთაურობით: იგი მიესალმა ვენაში გაპართულ ოქტომბრის ბრძოლას, იგი მიესალმა აგრეთვე პარიზის პროლეტარიატს ივლისის დღეებში. მერე და როგორი შედეგი მოყვა მარქსისთვის მის ასეთ გაბედულ რევოლიუციონურ პოლიტიკას? ერთი წლის შემდეგ მარქსი იძულებული გახდა უარყო ასეთი როლი და მიეტოვებია თავისი პოსტი უკიდურესი მემარცხენესი ბურჟუაზიულ დემოკრატიის ბანაკში, როგორც განმარტოებული და უიმედო. 1849 წლის გაზაფხულზე მარქსი და მისი მეგობრები გამოვიდნენ ბურჟუაზიულ დემოკრატიულ კლუბიდან და გადასწყვიტეს შეეწირათ თავისი ძალ-ღონე მუშების განსაკუთრებულ ორგანიზაციას მოწყობისათვის, მათ მოისურვეს მაშინ აგრეთვე ახლათ განზრახულ მუშათა სიეზზე მონაწილეობის მიღება, რომლის იდეა პრუსიის პროლეტარიატის წრიდან იყო გამოსული. მაგრამ, სამწუხაროთ, საქმე იმ დროს წაგებული იყო: რევოლიუცია, ბურჟუაზიის ლაღატის მეოხებით ის იყო სულს ლევდა, და ძღვეამოსილ რეაქციის პირველ სხკერპლათ „ახალი რეინის გაზეთი“ შეიქნა, სანამ მარქსი თავისი ახალი პროლეტარული ტაქტიკით გამოსვლას მოასწრებდა.

რუსეთში დღეს თქვენი მდგომარეობა ისეთია, რომ მოითხოვს დაიწყოს იქიდან, სადაც მარქსი 1849 წელს შეჩერდა. ეს არის: პროლეტარიატის ნათლათ გამოხატული დამოუკიდებელი კლასიური პოლიტიკა. რუსეთის პროლეტარიატი თავის ახლანდელ ბრძოლაში თავს გამარტოებულ არმიათ კი არ უნდა გრძნობდეს, არამედ—სოფლიო საერთაშორისო პროლეტარიატის არმიის მხოლოდ ერთ-ერთ ნაწილათ. იგი არ უნდა ივიწყებდეს, რომ მისი დღევანდელი რევოლიუციონური ბრძოლა განმარტოებული და განსაკუთრებული შეტაკება კი არაა, არამედ იგია ერთი დიად ომთაგანი საერთაშორისო კლასიურ ბრძოლის ისტორიაში და რუსეთის პროლეტარიატი მხოლოდ იმ პირობით შეასრულებს ღირსეულათ ამ როლს, თუ იგი ბრძოლის საშვალდებათა და გადაწყვეტილებათა მიღების და თავისი მიზნის ნათლათ შეგნების დროს ანგარიშს გაუწევს მთელი სოფლიო საერთაშორისო პროლეტარიატის განვითარების შედეგს და წარმატების იმ წერტილს, რომელსაც მთელმა კაპიტალისტურმა საზოგადოებამ დღეს მიადწია. რუსეთის პროლეტარიატმა თავისი მოქმედებით უნდა გვიჩვენოს, რომ 1848 წ. და 1907 წ. შორის კაპიტალისტურ განვითარების ნახევარ საუკუნეზე მეტს გაუვლია და ჩვენ საერთოთ ამ განვითარების თვალსაზრისით

ვდგავართ ბურჟუაზიულ კლასიურ ბატონობის დასაწყისში კი არა, არამედ, პირიქით, უკიდურეს დასაწყისში. მან უნდა გვიჩვენოს, რომ რუსეთის ახლანდელი რევოლიუცია უკანასკნელი ბურჟუაზიული რევოლიუცია კი არ არის, არამედ იგი უფრო პირველი რევოლიუციაა მომავალ პროლეტარულ რევოლიუციათა რიგში, რომელშიაც შეგნებული პროლეტარიატი და მისი ავანგარდი—სოციალდემოკრატია თვით ისტორიულათ არის წინასწარდანიშნული ასეთ როლისთვის, ე. ი. ხელმძღვანელ—წინამძღოლათ.

მარა ასეთი როლი რომ ღირსეულათ შეასრულოს რუსეთის სოციალდემოკრატია, ამისთვის აუცილებლათ. საქიროა ერთი მეტათ საყურადღებო პირობა—პარტიის ერთიანობა; ფორმალური, მექანიკური ერთიანობა კი არა, არამედ შინაგანი სიმკვიდრე და შინაური სიმტკიცე, რაც ბუნებრივი შედეგი უნდა იქნეს პროლეტარიატის ნათელ, სწორ და ფართე კლასიური ბრძოლისა. თუ რამდენათ აუცილებელ საქიროებათ მიაჩნია გერმანიის სოც.-დემ. მუშათა პარტიას ძმა მეგობარ პარტიის, რუსეთის სოციალდემოკრატიის მთლიანობა, ამას თქვენ აშკარათ დაინახავთ იმ მისაღმების წერილიდან, რომლის წაკითხვაც თქვენს წინაშე მომანდო ცენტრალურმა კომიტეტმა. იმ ძმური და მეგობრული მოსაღმების შემდეგ, რომელსაც ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტი გიძღვნით თქვენ, რუსეთის სოციალდემოკრატიის წარმომადგენელთ, და რომელიც მე უკვე გადმოგვციოთ ჩემი სიტყვის დასაწყისში, ეს წერილი დალადებს:

„გერმანიის სოციალდემოკრატია გაკვირვებით ადევნებდა თვალყურს იმ ბრძოლას, რომელსაც ჩვენი ძმა-მეგობარი, რუსეთის პარტია, ეწეოდა წინააღმდეგ ავტოკრატიულ მთავრობისა და პლუტოკრატიისა, რომელიც ცთილობს თვითმპყრობელობასთან ერთათ მანაც მოიპოვოს სახელმწიფოში ბატონობა.

დღემის არჩევნებში თქვენმა ბრწყინვალე გამარჯვებამ, რომელიც თქვენ, მიუხედავათ მახინჯი საარჩევნო სისტემისა, საოცარი ენერგიით მოიპოვეთ, აღძრა ჩვენში უზომო სიხარული. იგი ნათლათ გვიჩვენებს სოციალიზმის ბუნებრივ ძლიერებას, რომელსაც ვერ შეაჩერებს ვერავითარი დაბრკოლება.

როგორც ყველგან, ისე რუსეთშიაც, ბურჟუაზია მისწრაჟის მორიგება მოახდინოს მთავრობასთან. უნდათ შეაჩერონ ძღვეამოსილი მსვლელობა რუსეთის პროლეტარიატისა; უნდათ რუსეთშიაც ისე, როგორც სხვაგან, მოატყუონ ხალხი და წაართვან მას ის ნაყოფი, რომელიც შედეგია მისი ცხოველი

და გმირული ბრძოლისა. ამიტომ მომავალშიაც რუსეთის სოციალდემოკრატიას რუსეთის ხალხის განმათავისუფლებელ მოძრაობაში ისევ წილათ ზედება როლი წინამძღოლ — ხელმძღვანელისა.

განმათავისუფლებელი ბრძოლა რომ მთელი თავისი სიძლიერით წარმოებულ იქნას, ამის წინასწარ პირობათ უნდა ჩაითვალოს რუსეთის სოციალდემოკრატიის ერთიანობა, მთლიანობა და სიმტკიცე. რუსეთის ძმა-მეგობარ პარტიის წარმომადგენელთაგან ჩვენ ველით, რომ ჩვენი იმედები გამართლდება თქვენი სიეზდის დადგენილებებით და ამნაირათ რუსეთის სოციალდემოკრატიის მკვიდრი გაერთიანება გახდება ფაქტი. ამ აზრით ჩვენ ვუძღვებით თქვენს სიეზდს ჩვენს ძმურ სალამს“.

ცენტრალური კომიტეტი გერმანიის სოციალდემოკრატიულ მუშათა პარტიისა.

თარგმანი რაჟკალისა.
დასასრული.



კატარა ფელეტონი.

მოღვაწეთა მოღვაწეობა.

ბ. დიქტატორის წაბაძვით აქიმმა ჩარეკოვმაც უარი უთხრა დაბალ მოსამსახურებს უფასოთ აქიმობაზე. საკვირველია სწორეთ ამ აქიმის საქმე! ეს ვაჟბატონი ქალაქის კასიდან თვეში ას მანეთზე მეტ ჯამაგირს იღებს და ახლა არ იკითხავთ, რას აკეთებს ამის ფასს? კვირაში ორჯერ თუ სამჯერ შეგბანდება თითო საათით ვენერეულ სენიანთათვის ქალაქის საავათმყოფოში, სადაც ყოველივე მის მოვალეობას მისი თანაშემწე ფერშალი ასრულებს. სანიტარული მხრივ ქალაქი რა ყოფაშია, ეს ყველას კარგათ მოეხსენება, თუ ათასში ერთხელ სანიტარულ მეთვალყურემ ოქმი შეაყენა, ბ. ჩარეკოვი მხოლოდ მაშინ ინებებს მიბძანებას, ამისთანა შემთხვევა კი წელიწადში ორი-სამი თუ იქნება, მეტი არა. დანარჩენ დროს ისევ ჩვენი, ქუჩაში თავისუფლათ მონავარდე, ღრუტუნები სანიტარობენ.

საკვირველია, სულს რათ იმძიმებს ბ. აქიმი, რომ ასე მცირე შრომაში, ისე დიდი გასამრჯელო გააქვს ქალაქის ღატაკ კასიდან. სულის დამსუბუქებას თუ მაინცა და მაინც მას ჯიბის დამძიმება ურჩევნია, რა უჭირს თავის ძვირფასი შრომა შემდეგშიაც რამდენიმე საათით მაინც მოახმაროს უწინდულათ ქალაქის მუშებს. თორემ რა ქნას საწყალმა მუშამ, რომელსაც თვეში რაღაც თექვსმეტოდ


მანეთი ეძლევა, ამ ფულით ცოლშვილი არჩინოს, წამალი იყიდოს; თუ ორ-ორ სამ-სამი მანეთი აქიმს ვიზიტში აძლიოს!

აქიმი ჩარეკოვის საქციელი მე მაინცა და მაინც არც ისე მაკვირვებს; რა ვუყოთ, რატომაც არ იტყვის უარს მუქთ აქიმობაზე, თუ კი გაუვა, მაგრამ მე უფრო ბ. დიქტატორის საქციელი მაკვირვებს. თუ კი ის დაბალ მოსამსახურებზე ისეთ სისასტიკეს იჩენს, ბ. ჩარეკოვს რათ არ მოსთხოვს თავის პირდაპირი მოვალეობის ასრულებას! თუ დაბალი ღობე უფრო ადვილი გადასათელია!..

არც თვიური მუშები არიან მეფარნებზე უკეთეს მდგომარეობაში. ავდარსა და დარში, ყინვასა და თოვლში განუწყვეტელ მუშაობით ქანცაწყვეტილებს რივიანი ბინაც არ მოეპოვებათ, რომ ღამით მაინც მოასვენონ დამტვრეული, არაქათ გამოლეული სხეული. ვითომ იცის ყოველივე ეს ბ. დიქტატორმა და თუ იცის იღონა რამ? იცის, როგორ არ იცის, მარა ამისთანა წვრილმანებზე ის თავს როგორ შეიწუხებს. მუშები რის მუშები არიან, თუ წუნწუნშიც ვერ მოისვენებენ, ახლა სასახლეებს ხომ ვერ აუშენებს მათ მოსასვენებლათ! მუშების ასეთი შევიწროება შეიძლება მას მომჭირნობით მოსდიოდეს. რალა სხვის ზურგზე იჩენს მომჭირნობას ის დალოცვილი, როცა ეტლისათვის სამას მანეთს ინიშნავდა, მაშინ რათ არ გაახსენდა ეს მომჭირნობა! ნეტა რათ დააფიქცდა ეს მომჭირნობა, როცა გამგეობას რამდენიმე მოსამსახურე მოუმატა თავის ნებით; ბუხვალტერიაში მუშაობა გააორკეცა და მით ხარჯიც გაორკეცდა!

არა ერთისა და ორისაგან გაიგონებ საყვედურს: თითქმის ქალაქის მთელი შემოსავალი თვითმართველობის კანცელარიასა და მოსამსახურე პირებს უნდებაო. მის ნაცვლათ, რომ ცოტადენი ყოვლად უსარგებლო ბიუროკრატიული ხლამი კანცელარიას მოაშორონ და მოსამსახურეთა რიცხვი შეამცირონ, კიდევ ახალ ხლამს უმატებენ და ხარჯს აორკეცებენ! ეს არის მომჭირნობა, ეს არის ეკონომია?!..

ვერც რემონტის საქმეებში გამოიჩინა ბ. დიქტატორმა დიდი მომჭირნობა. მან ყველას წინააღმდეგ (მაშ რილას დიქტატორა!) მოისურვა უვარგისი შენობიდან გამგეობის კიდევ უფრო უვარგისში გადატანა. რემონტი სამ თვეზე მეტს გაგძელდა; მის შეკეთებაზე რამდენიმე ასო მანეთი დაიხარჯა, მარა გაკეთებული შიგ არაფერი ამოჩნდა: კარ-ფანჯრებიდან ისევ თავისუფლათ მოზუზუნებს ქარი ოთახებში და ქერიდანაც ისევ უწინდულათ ჩამოდის წვიმა. ან რა უნდა გაკეთებულიყო, როცა შენობის შეკეთება ისეთ პირს ქონდა მინდობილი,



რომელიც ორი-სამი მანეთის ქრთამის აღებასაც არ თავილობს. ეს ვაჟბატონი ბ. დიქტატორმაც ბევრჯერ დაიჭირა უკუღმართობაში, მარა როგორ დაითხოვდა, როცა მას მფარველი და პროტექტორი თვით დიქტატორის ახლო ნათესავი ყოლოდა. როგორც ამბობენ, გამგეობა ახლა კიდევ სხვა შენობაში გადააქვთო. რემონტს რა თქმა უნდა იქაც მოახდენენ მეფარელების სპაჩკის ეგონამაით.

როგორც ხედავთ, ქალაქისათვის მაინცა და მაინც თვალსაჩინო მომჭირნეობა დიქტატორს ვერაფერი გამოუჩენია, თავის ჯიბისათვის კი ის დიდი მომჭირნეა. იმ დროს, როცა კასა უკიდურეს კრიზისს განიცდიდა, და ქალაქის მამულებს სეკვესტრის დადებას უპირებდნენ, ჩვენმა მომჭირნე ვაჟბატონმა ორი თვის ჯამაგირი, ხუთასი მანეთი, წინდაწინ გაიტანა და კასირს უბძანა არამც და არამც მოსამსახურეებისათვის ჯამაგირი არ მიეცა. კასირმა ქალაქის თავის განკარგულებით გაბედა და რამდენიმე უფრო გაჭირვებულ მოსამსახურეს ჯამაგირი მისცა, რისთვისაც დიდი ლანძღვა-საყვედური მიიღო დიქტატორისაგან. ან კი რატომაც არ უნდა გაელანძღა, როცა მას პირველ რიგში თურმე პოლიციელების დაკმაყოფილება უნდოდა. საზოგადოთ პოლიციისა და პოლიციელების ჩვენს დიქტატორს დიდი პატივისცემა ქონია. უბრალო მათი „ნამიოკი“ მისთვის გადუვალი კანონია. იქნება იფიქროთ, რომ მე ამას ისე, ზეპირათ, მოგახსენებდეთ. თქვენც არ მომიკვდეთ! მე ამისი საბუთი მაქვს და მაგარი საბუთიც. ერთხელ გამგეობაში პოლიცემისტერი შევიდა და მუსაიფში სხვათა შორის სთქვა, როგორც გავიგე აქ რაღაც ბიურო ყოფილა, подавайте его сюда, я его в бараний рогъ согну!-ო, ე. ი. თქვენს ბიუროს ვერძის რქასავით მოვკაკავო. მოკაკავს ვინ ოხერი დაეძებდა, თუ ცოტათი მაინც სულს შეარჩენდნენ, მარა ჩვენმა დიქტატორმა პოლიციასაც გადააქარბა, სრულიათ დედაბუდიანათ მოსპო ბიუროც და მისი მოქმედებაც.

ასე და ამ ნაირათ ჩვენმა უკიდურესმა პროგრესისტმა, ყოფილმა სოციალისტმა, ლობიოს უებრო მკვლევარმა. ლიტერატურაში ცნობილმა ფხამ, ხოლო დღეს ქალაქის თვითმართველობის დიქტატორმა ფეხქვეშ გათელა, სრულიათ მოსპო და განადგურა მოსამსახურეთაგან სიმწრით და სისხლით მოპოვებული უფლებები.

სადიდებელ არიან, დიქტატორო, საქმენი შენნი! ამინ და აღილუიია!..

წელკავი.

ჩვენი ქალაქის თვითმართველობა

იმ მიზნით, რომ ქალაქის ღარიბ მცხოვრებთ გაუადვილდესთ ხორცის ყიდვა, ქალაქის თვითმართველობა ხშირათ აწყობს ხორცის დუქნებს და მცირე მოგებით ყიდის ხორცს. ქალაქებმა ხორცის დუქნები განგებ გამოიგონეს ყასბების მადის ასალაგმავათ. მართალია, თფილისს ასეთი დუქნებიდან თითქო ხარალი მოუვიდა, მაგრამ ეს იმის ბრალია, რომ ეს საქმე ჯეროვანათ ვერ დააყენეს იქ. სიმპატიური პრინციპი სახორცო დუქნებისა ამ მაგალითით სრულიათაც არ ირღვევა. ქუთათურებს ქალაქის ხორცის დუქნებზე ჯერ კიდევ კაი ხანს მოგვიხდება ოცნებობა.

კარგი იქნებოდა, რომ ქალაქი ფორნეებსაც გააწყობდეს და მხმარებლების მცირე მოგებით მიყიდდეს პურს, მაშინ ქალაქში პური შესამჩნევათ გაიფუტებოდა, რასაც დიდი წინაშენელობა აქვს ღარიბი მცხოვრებლებისთვის. მაგრამ, ვიდრე ამას ქუთაისში მოვესწრებოდეთ, კარგი იქნებოდა, რომ ჩვენი მეფურნეები უფრო სინდისიერათ ასრულებდნენ თავის მოვალეობას. რა გინდათ, რომ მათ პურში არ ნახოთ: სილა, ბუზები, მატლები, ჩვრები, ძაფები, ბაღნები, ხიწვები და ათასი სხვა უსუფთაობა. რამდენჯერ ყოფილა, რომ ქალაქის საბჭოში, როცა ნიხრის მომატებაზე ქონიათ ლაპარაკი, საჯაროთ აღუნიშნავთ ეს მათი დაუდევრობა, მაგრამ ბუზებით და მატლებით ახლაც გვიმასპინძლდებიან. ვისურვოთ, რომ მეფურნეებმა ნიხრის მომატების საჭიროების გარდა, თავისი მოვალეობაც შეიგნონ მოქალაქეების წინაშე.

ჩვენდა საბედნიეროთ, თუ საუბედუროთ, ქარხნები და ზავოდები ქუთაისში ბევრი არა გვაქვს. ფირალოვის თამბაქოს ფაბრიკა ლალიძის ხილფულობის წყლების ქარხანა და ორი თუ სამი კირის საწვავი, იმ ჩვენი ქარხნული მრეწველობა. ქარხნებში შიგენური პირობების დაცვა ქალაქის სანიტარულ დასის მოვალეობას შეადგენს, მაგრამ, რადგანაც ჩვენ ქარხანა-ზავოდებით ერთობ ღარიბნი ვართ, ამიტომ ნურც მათზე ლაპარაკით ავიტკივებთ თავს.

სანიტარული დასი უნდა ადევნებდეს თვალყურს, რომ ბაზარში გასაყიდათ შემოტანილი ხილი მკვახე ან დამპალი არ იქნეს; აგრეთვე წვანრი ძველი, მომქლრალი არ იქნეს. მახსოვს, ზავობის დროს, ჩემი მეზობლები იტყოდნენ ხოლმე, ბაზარნიკს ერთი აბაზი ვუჩითე ხელში და სულ დამპალი ნესვები დავასადეო, ან ჩემმა მეზობელმა ბაზარნიკს არაფერი მისცა და სულ ახალ-ახალი ცოცხალი ნესვე-

*) იხ. „ცისკარი“ № 5.

ბი გადაუყარა რიონში. იმედი უნდა ქონდეს, რომ ახლა ასეთი ბაზარნიკები აღარ არიან.

რაც შეეხება ჩვენს აბანოებს, თუმცა იქ წყალი ბევრია, მაგრამ სისუფთავის მხრივ მანც სუსტობენ. ეს მამაცხონებული სანიტარი-ექიმი ვეება განცხადებებს აწებებს აბანოს კედლებზე, მექისების ქისებს ნუ ენდობითო და თვით საბანაო აუზები რა სისტემით სუფთავდება, ეს მას, მგონი, არც მოგონებია. ცოცხით, რომლითაც ჯერ კარიდორებში ტალახს ხვეტავენ, მერე საბანაო აუზზე სსუფთავებენ. ქალაქი უნდა ცთილობდეს აბანოების და სახაფხულო საბანოების მოწყობას იმ ანგარიშით, რომ ქალაქის შეუძლო მცხოვრებლებს შეეძლოთ იაფ, ხელმისაწვდენ ფაქეში ამ აბანოებით სარგებლობა. მაშინ ხალხი ადვილათ შეეჩვევა სისუფთავეს, რომელიც უპირველესი ფაქტორია ხალხის ჯანმრთელობისათვის.

ყველა კარგათ-მოწყობილ ქალაქს უნდა ქონდეს თავისი საკუთარი საავათმყოფო, რომ მოქალაქეს შეეძლოს უფრო იაფათ აქიმობა, ვიდრე ეს კერძო საავათმყოფოშია. ქუთაისს კი ჯერ ქალაქის-სავათმყოფო არა აქვს. უნდა სიმართლე სთქვას კაცმა, რომ ქალაქის თვითმართველობა კარგა ხანია ცთილობს საავათმყოფო ააგოს, მაგრამ ამ ცდის ნაყოფს ჯერ-ჯერობით ვერ ვხედავთ. კარგა ხანია, რაც ქალაქმა სამინისტროს ნებართვით იშოვა სესხათ 50,000 მანეთი საავათმყოფოს გასაკეთებლათ; ამ ფულის სარგებელი გვხდება და ფული კი მოუხმარებლათ დევს თავის ადგილზე. მართალია, ქუთაისს თავის საკუთარი საავათმყოფო არა აქვს, მაგრამ მას შეუძლია იამაყოს იმ საავათმყოფოთი, რომელიც მოაწყო განსვენებულმა სამსონ თოფურიაშ. არაფრის მქონემ, მან თითქმის არაფრისაგან შექნა ისეთი საავათმყოფო, რომლითაც შეეძლო ეამაყებია არათუ ჩვენს დაბეჩავებულ ქუთაისს, არამედ თვით სატახტო ქალაქსაც. ადგილი, რომელზედაც ეს საავათმყოფოა გაშენებული, ქუთაისის თვალია თავის მდებარეობით. აქედან თქვენ დაჩერებისხართ რიონის თვალწარმტაც ქალას, რომელსაც ყოველი მხრიდან, როგორც დარაჯები, გარს შემორტყმია მოხიბლავი მთების ბუმბერაზები. მოწმენდილ ამინდში აქედან თითქოს ხელის-გულზე მოსჩანს ბუნების დიდება იალბუზის შაა. გელათის მიდამოების საღვთო დიდება არწივივით თავს დასცქერის ამ ადგილს. მუდმივი ნიავი, მუდმივი სიო, გარემო მთების სიცოცხლით აღსავსე სუფთა ჰაერს აყენებს აქ. ამასთან ეს საავათმყოფო ძლიერ ახლოცაა ქალაქის შუაგულთან, მაგრამ, რადგანაც რიონის ნაპირზე მდებარეობს, ამიტომ ის მუდამ ქალაქის განაპირათ

დარჩება. საავათმყოფოს ბალიც დიდებულია. მხოლოერი შემოქმეტი ხელის ბეჭედი ასეია მას ზედ. საავათმყოფოს შენობას აქვს ფილტრებით მოწყობილი წყლის საყვანი და უსუფთაოპათა დასაცავათ ცემენტით ამოყვანილი ორმო, რომელიც გერმეტიულათ იცობა. განსვენებულმა სამსონმა ამ საავათმყოფოს მოწყობას შესწირა მთელი თავისი ახალგაზდობა, მთელი თავისი ღონე. ქირურგიული დიაგნოზების სისრულისათვის შიგ მოაწყო რენტგენის სხივების მანქანები, რომლებიც მას რამდენიმე ათას მანეთათ დაუჯდა. ბოლოს გიდროტერაპიის (წყლიერ აქიმობის) რაციონალურათ მოსაწყობათ მან რიონის ნაპირზე დაიწყო შენობა, რომლის საძირკველის ამოყვანა 6,0000 მანეთათ დაუჯდა. მაგრამ ესოდენ ენერგიით და კაცთმოყვარეობით აღსავსე მუშაკი განგებამ ჩვენთვის არ გაიმეტა, უღმობელმა სიკვდილმა მოულოდნელათ ხელიდან გამოგვგლიჯა და მთელმა მხარემაც მაშინვე მწვავეთ იგრძნო ეს დანაკლისი. მოშურე წვრილმანმა კაცებმა და მოვაზებებმა დიდებული გვამის გასვენებისათანავე მიყვეს ხელი მისი დიდებული ნამოქმედარის დარბევა-განადგურებას. განსვენებულ თოფურიაშ სიკვდილის შემდეგ ეს საავათმყოფო ბანკს და სხვა წვრილ მოვაზებებს ჩაუვარდა ხელში. აი, ხმოსნების ერთი ჯგუფი სწორეთ ამ შხა საავათმყოფოს გამოსყიდვას ურჩევდა ქალაქის წარმომადგენლებს თოფურიაშეული საავათმყოფო არაა მეცნიერების უკანასკნელი სიტყვის მიხედვით გაშენებული, ჩვენ უნდა იდეალური საავათმყოფო გვქონდესო, ამბობდა მეორე მხარე. გარდა ამისა საავათმყოფო თვითონ ქალაქში არ ვარგა. ქალაქის გარეთ სუფთა ჰაერზე სჯობიაო. ამას ისიც დაუმატეთ, რომ ზოგიერთი ხმოსნები, სამწუხაროთ აქიმები, იმდენათ აიტანა გულის-თქმამ, რომ გვარწმუნებდენ, ის ადგილი, სადაც თოფურიაშეული საავათმყოფოა აგებული, ცივბ-ცხელებიანი ადგილიაო. გამარჯვება ხმის უმეტესობით დარჩა იმათ, ვინც ქალაქს საავათმყოფოს აშენებას „სალორიაზე“ ურჩევდა. ბევრი წყალი ჩაივლის, სანამ ჩვენ ახალი საავათმყოფოს აშენებას მოვესწრებოდეთ და თოფურიაშაგან ნაანდერძევი დიდებული განძი კი სამუდამოთ დაეკარგა ჩვენს ქალაქს.

გრ. ნასარიძე,

(შემდეგი იქნება).

შ ე ნ დ ა მ ე .

(ვუძღვნი ცხოვრებისაგან ვალაღებულთ).
შენც იმ დროს გაჩდი, როდესაც მე, შენც იმ პირობებში დაიბადე, რომელშიაც მე; შენც იმ



ქვეყანაში იყავი; რომელშიაც მე; ჩვენ ორივე ერთათ ვიზდებოდით, ორივენი ერთათ გამოვედით ცხოვრებაში...

ცხოვრება შენთვის ია-ვარდ ფენილი შეიქნა, ყოველგვარი ბედნიერებით შეზავებული: შიმშილი, წყურვილი, სიცივე, ლუკმა პურისათვის ტანჯვა-წამება შენთვის გაუგებარი შეიქნა. შენთვის ცხოვრება ბრძოლა არაა, ერთი სიტყვით, განცხრომა და ფუფუნება—აი შენი ბედნიერება, მუდამ ასე ყოფნა—აი შენი მიზანი: ცხოვრება მთელი თავის სიმშენიერით შენთვისაა, შენ კი მხოლოდ და მხოლოდ შენთვის.—ამას ვერ გასცილებიხარ, ვერც გასცილდები. რასაც არ უნდა ხედავდე, მას ხედავ; რასაც უნდა ხედავდე, მას გაურბიხარ; სიყალბეს თავყანსა სცემ, საზიზღრობას გუნდრუკს უკმევ, ჭეშმარიტებას ფეხ ქვეშ სთელავ. შენთვის პატიოსნება განყენებული ცნებაა; სინიღისი—ნამდვილი სინიღისის დაცინვა; თავისუფლება—კარგათ გაძღობა; სპეტაკი სიყვარული—გარყვნილება...

ჩემთვის? ჩემთვის ცხოვრება ასკილ-ფენილია, ყოველივე სიღუბლით შეზავებული: არ ვიცი, რა არის განცხრომა—მოსვენება; ჩემთვის ცხოვრება ტანჯულ-წამებულის ბრძოლაა და ასეთი ბრძოლა-ბედნიერებაა. აუტანელი პირობები, თავისუფლებას მოკლებული. უფლებებ ახილი ადამიანი—აი ჩემი მდგომარეობა; თავ-დავიწყებამდის შეუპოვარი ბრძოლა და ადამიანური არსებობის მოპოვება—აი ჩემი მიზანი. სიყალბის და საზიზღრობის უარის ყოფა, პატიოსნებისა და თავისუფლების თავყანის ცემა, ფეხ ქვეშ გათელვა ყველა იმისი, რაც შენ, უწმინდურო, წმიდათა-წმადათ მიგაჩნია, და გუნდრუკის კმევა იმისი, რაც კაცობრიობას განახლების გზაზე აყენებს,—ესაა ჩემი ცხოვრების აზრი.

მაშ, რა არის ჩვენ შორის საერთო?! ვინ ვართ შენ და მე? ერთ ხანაში დაბადებულნი, მაგრამ სხვადასხვა დროის; ერთ ადგილას მცხოვრებნი, მაგრამ სხვადასხვა ქვეყნის; ერთი სახის, მაგრამ სხვადასხვა შინაარსის. შენ ცხოვრობ იმისთვის, რომ სჭამო, მე კი იმისთვის ვსჭამ, რომ არსებობა შევირჩინო შენისთანაების წინააღმდეგ საბრძოლველათ. ჩვენ ორივე ხალხის შვილნი ვართ, მხოლოდ შენ ცრუ და მე კი ნამდვილი, მე ვკვდები ხალხისთვის, შენ კი—მათ კლავ შენთვის.

ჩემს „მე“-ში მომავალი ადამიანია, შენსაში კი—მხეცი. ჩვენ შორის უფსკრულია.

ცხოვრების გზაზე ნუ გვიდგებით, საზიზღრებო!..

„ფილიტი“

მ უ შ ა თ ა შ ო რ ი ს ი მ ე რ ი

ადგილობრივ ნაქრებში და შეკირდებში გადაძვებ სენსაკით გაურტყლდა ამ უკანასკნელ ხსენებში არტის თამაში.. მოწინავე ამხანაგებმა ყოველი ღონისძიება იმ-მარეს ამ სენის ამოსაფხვრელათ, მარა ჯერ კერძოს გახ-დენ. ხსენა დაუდგენიათ კარტის მთამამე ნაქრები: და შეკირდების სხელი და გარე გასეთებში გამაფხვ-ღონ და, თუ შესაძლებელი იქნება, მათი ფოტოგრაფიუ-ლი სურათი „ქმევი“ მათრასს“ გაუგზავნონ რეცენზი-ისათვის...

როგორც ვიცით, ქუთაისში, როგორც სხვა ქა-ლასქებისა, არსებობს მუშათა ჰოლო. კაკშირები, მარა მათი მოქმედება მადიან უფერულია. ერთი მიზეზთაგა-ნი მათი სისუსტისა არის არა ლეკალურათ არსებობა.. დროა მუშებმა უურადლებს მიაქციონ ამ გარემოებას და კრადონ კაკშირების წესდებები დაამტკიცებინონ ვისაც ჯერ არს.

წელს ბეკრი ადგილობრივი მუშებია ჯარის კრათი გაწვეული ზოგმა კენჭი უკვე ამოიღო და მოკლე ხან-ში ცივ ქვეყნებისკენ გამგზავრება მოკლათ.

ამ დღებში რაინოვის სამკერვალოში მომუშავე შეკირდებმა სამკერვალოს პატრონის წარუდგინეს კონო-მიური შინაარსის მოთხოვნები.

როგორც გასეთები გადამოგვიკმენ, მოკლე მომა-კაღშ უნდა მოხდეს რუქითის ს. დ. მ. პარტიის კონ-ფერენცია. კონფერენციაზე გასარჩევი კითხვები შექმე-გია:

- 1) სოც. დემ. ფრაქციის ტაქტიკა დუმაში.
- 2) ურთიერთობა ც. კ. და ადგილობრივ ორგანი-ზაციებისა.
- 3) პარალელურ ორგანიზაციების შეერთება ადგი-ლობრივ.
- 4) დამოკიდებულება ფრაქციული ტენტრებისა კრ-თი და იმავე პარტიისადმი.

ლია წამილი ს. სურამის ინტელიგენციისადმი.

იყო დრო, როცა საზოგადოებრივი ცხოვრება ძალიან მარტივი იყო. მაშინ ყოველი ქალაქი, ყო-ველი სოფელი და ბოლოს ყოველი ადამიანი მხო-ლოდ თავისთვის ბოგინობდა, თავის საკუთარ საქ-მეს აკეთებდა და სხვისი ყოფა-ცხოვრება, სხვისი ავ-კარგი ნაკლებათ აინტერესებდა. ეს იყო კარჩაკეტილი საზოგადოებრივი ცხოვრება. მაგრამ ეს დრო დიდი ხანი წავიდა. საზოგადოებრივი ცხოვრების, მისი

ურთიერთობის პირობები ძირიანათ შეიცვალა: სხვადასხვა ადამიანების, სხვადასხვა საზოგადოებრივი ერთეულების ინტერესები ერთი მეორეს გადაეჯახვა, და ამნაირათ საჭირო შეიქნა ერთი-მეორესთან დაახლოება, ერთი მეორის ყოფა-ცხოვრების, მისი ყოველ-დღიური ქირ-ვარამის ცოდნა-გაზიარება. გაკეთდა გზები, ფოშტა, ტელეგრაფი და დაარსდა ჟურნალ-გაზეთობა. დღეს საჭიროა მხოლოდ, რომ ყოველივე საზოგადოების ცოტათ თუ ბევრათ შეგნებული წევრი თვალყურს ადევნებდეს ყოველივე იმას, რაც მის გარშემო ხდება, და ამას თავის დროზე აღნიშნავდეს რომელიმე გაზეთის ფურცლებზე, რომ ის ყველას გასაგებათ გახდეს.

თუ ჟურნალ-გაზეთების საშვალეობით სხვადასხვა საყურადღებო ცნობების მიწოდება საზოგადოებისათვის საჭირო იყო ოდესმე, ეს მით უფრო აუცილებელია დღეს, როცა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება დულს და გადმოდის; ის დღეს მშობიარობის ტკივილებს განიცდის, ყოველი დღე სავსეა სულ ახალი მწვავე კითხვებით, სულ ახალი სამწუხარო-სასიამოვნო ამბებით. ეს ამბები კი, სადაც უნდა ხდებოდეს ისინი, სოფლათ თუ ქალაქათ, ერთნაირათ საყურადღებო არიან ყველასათვის, განსაკუთრებით დღეს, როცა ყველას და ყველაფერს დამოკლის ხმალივით თავს დასჩერებია რეაქციის შავი ძალები, როცა დედა ვერ ხედავს, როგორ ატარებს თავის შავ-ბნელ დღეებს მისი შორს გადახვეწილი შვილი და შვილმა არ იცის, როგორ აწამებენ და აწიოკებენ, სოფლათ თუ ქალაქათ, მის მშობლებს, დებს და ძმებს. აი ამ დროს, აუცილებლათ საჭიროა, რომ ყოველივე საყურადღებო ამბები და მოვლენები დღევანდელი ცხოვრებისა დაუყოვნებლივ სისწორით ეგზავნებოდეს დასაბეჭდათ რედაქციებს. განსაკუთრებით საჭიროა იბეჭდებოდეს ცნობები სოფლის ცხოვრებიდან, საიდანაც ამბები ძნელათ ვრცელდება მდებარეობის გამო და სადაც რეაქცია დღეს უფრო მძვინვარებს, ბევრი სოფლებიდან ჩვენს რედაქციებს, როგორც სჩანს, საკმაოდ მოსდის ამბები, ზოგიდან კი სულ არა. ჩვენ არაფერი გვეთქმის ისეთ მივარდნილ, მივიწყებულ სოფლების შესახებ, სადაც არ მოიძებნება არც ერთი შეგნებული ინტელიგენტი, რომელსაც შეუძლია ამ საქმის შესრულება, მარა რა უნდა ვთქვათ იმ სოფლის შესახებ, სადაც ოთხი და ხუთი შკოლა არსებობს—თავის მასწავლებლებით, რათქმა უნდა, და ამათ გარდა რამდენიმე თავისუფალი ინტელიგენტიც მოიპოვება. ასეთია, მაგ., ს. სურები გურიაში. ეს სოფელი გურიის ბევრ სოფლებზე გაცილებით მაღლა დგას თავისი საზოგადოებრივობით,

თუ შეიძლება ასე ითქვას; გურიის განმათავისუფლებელ მოძრაობაშიც მას თვალ-საჩინო ადგილი უჭირავს და ამიტომაც არის, რომ რეაქციამ თავისი სუსხი ყველაზე უფრო ამ სოფელზე მიიტანა. რამდენი ეკზეკუცია, რამდენი აწიოკებ-აოხრება, რამდენი ათასობით შტრაფები გამოსცადა მან, მარა ყველა ამავის შესახებ ერთხელაც არაფერი სმენია გარეშე საზოგადოებას გაზეთების საშვალეობით. აი, მაგ, დღესაც, როგორც გვესმის, ამ სოფელში ეკზეკუცია მძვინვარებს: ათასჯერ გატყავებულ, გალატაკებულ ხალხს ამ ჟამათ კიდევ 3000 მ. სთხოვენ ვილაც მოკლულ ტრაპაიძის ოჯახის სასარგებლოდ. ადგილი წარმოსადგენია, რა საშინელ მდგომარეობას უნდა განიცდიდეს სოფელი; ახლა, როგორც ვიცით, შემოდგომა და მთელი წლის სარჩო გლეხს შესანახი აქვს, თავზე ცეცხლი ეკიდება, დღე და ღამე რომ გასაწროს, ეგებ ძლივს მოასწროს თოვლის მოსვლამდის შეინახოს წლის მოსავალი და აი ამ დროს მან ეკზეკუციას უნდა გაუწიოს ანგარიში; თუ რას ნიშნავს დღევანდელ დროში ეკზეკუცია და ისიც გურიაში, ეს ყველამ კარგათ ვიცით. ამ ამბების გამგონეს, სხვას თუ არა, განსაკუთრებით ამ სოფლის შვილებს, სხვადასხვა ადგილს ბლომათ გადახვეწილებს, -დიდათ გვეინტერესება იმის გაგება, თუ როგორ იქცევა ეკზეკუცია, რა მდგომარეობაშია სოფელი, რას აპირებს ის და სხვა ასეთი კითხვების გააორკვევა, მარა, რაღაც მიზეზის გამო, ადგილობრივი ინტელიგენცია, როგორც ყოველთვის, ახლაც სდუმს. ჩვენ საშვალეობა არა გვაქვს გავიგოთ რამე და ვეძლევი თუ უგეშო ფიქრებს: ვაი თუ ახლა ჩვენს ოჯახებს ცეცხლი უკიდია, ვაი თუ ჩვენს დედ-მამას, ძმებს, დებს აწიოკებენ და ამ სიცივების დროს ისინი ტყეში გარბიან დასამალავათ და სხვა. სირცხვილია, დღეს რომელიმე სოფელში ასეთი საყურადღებო ამბები ხდებოდეს, ამავე დროს ამ სოფელში ათობით ინტელიგენტი ცხოვრობდეს და ეს ამბები კი თავის დროზე გაზეთებში აღუნიშნავი რჩებოდეს. წინადადებას ვაძლევ ამ სოფლათ მცხოვრებ ინტელიგენტის ყოველთვის თავის დროზე აღნიშნონ რომელიმე გაზეთში სხვა თუ არა თავის სოფლის შესახებ საყურადღებო ცნობები; ეს სულ ადვილი საქმეა. მე კარგათ ვიცი, რომ ბევრ მათგანს ამისთვის ცოდნაც შესწევს, ძალაც და საშვალეობაც. საჭიროა მხოლოდ ცოტაოდენი ენერჯია და საქმის სიყვარული.

ზევარიკე.



**პედაგოგიური ჟურნალები სახალხო
შკოლების მასწავლებელთათვის**

ამ უკანასკნელ ხანებში სახალხო შკოლის გამოფხიზლებასთან ერთად მასწავლებელთა სულიერ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ სხვადასხვა ქალაქებში დაარსდა პედაგოგიური ჟურნალები, რომლებიც — ღირებულებით მისაწვდომია ღარიბ სოფლის მასწავლებელთათვის და შინაარსითაც გამომატველი მათი გაჭირვებული ეკონომიური და სულიერი მდგომარეობისა. მოგვყავს ამ ჟურნალების სია სრული მათი აღრესებით იმ მიზნით, რომ ამხანაგ სახალხო შკოლების მასწავლებლებს შეძლება ექნეს გამოიწერონ ეს ჟურნალები.

„Народный учитель“, ორ-კვირეული, ფასი 2 მან., გამოდის 1906 წლიდან. (Кишиневъ, редакторъ А. Д. Осмоловскій) 2. „Журналъ учителя“ ორ-კვირეული ჟურნალი, ფასი 3 მ., (Новочеркасскъ, редакторъ Крупницкій) 3. „Вѣстникъ Донскихъ учителей“ — ორ-კვირეული ჟურნალი“ ფ. 3 მან. (Новочеркасскъ, редакторъ Молчановъ) 4. „Кубанская школа“ ფ. 1—20 კაპ. (Екатеринодаръ, редакторъ Скиданъ.) 5. „Школа и жизнь“, ორკვირეული ჟურნალი, ფ. 3 მ. (Георгиевскъ, редакт. Пальмовъ.) 6. „Для Народнаго учителя“, გამოდის წელიწადში 20-ჯერ, წლიური ფასი ჟურნალისა 2 მანეთი. შეიძლება ფულის გაგზავნა ნაწილ-ნაწილათ (აღრესი: Москва, Полянка, Успенскій переулокъ, д. 8, кв. 8.). უკვე გამოვიდა ამ ჟურნალის 12 ნომერი. ყველა გამოცემულ ნომრებში მოთავსებულია ფრიად საინტერესო და მასწავლებელთათვის აუცილებელი საჭირო ცნობები და სტატიები კავშირის მოქმედების ისტორიიდან, კონგრესებისა და სხდომების ოქმები და შოხსენებები, გეგმები და სხვა. მაგალითათ, პირველ ნომრებში მოთავსებულია შემდეგი სტატიები: ა) აღორძინება სრულიად რუსეთის მასწავლებელთა კავშირისა; ბ) რეზოლიუციები კავშირის 1, და 3-მე დელეგატთა კრებისა; გ) უკანასკნელი სიეზდი სახალხო მასწავლებლებისა გერმანიაში; დ) სახალხო განათლების ღივა და მისი მოქმედება; ე) სახალხო განათლების შესახები კითხვები, წამოყენებული გერმანიის ს. დ. პარტიის სიეზდზე მანგეიმში; ვ) პოლიტიკური განათლება, როგორც თანამედროვე მორიგი საკითხი. ზ) მასწავლებელი და სასულიერო წოდება — და სხვა ძლიერ საინტერესო წერილები..

7. „Учитель“, ჟურნალში იღებენ მონაწილეობას: აბრამოვი, ანიკინი, ბელიავსკაია, ბელოზერსკი, ჩარნოლუსკი, ჩეხოვი, იაბლონოვსკი, სკოროცოვი და სხვები...

წლიური ფასი 3 მ.—4 თვით — 2 მანეთი. (С.-Петербургъ, Николаевская, 84, кв. 9, въ редакцію „Учителя“). მე-7 ნომერში მოთავსებულია, მაგალითათ, საინტერესო წერილები: ა) პროექტი საყოველთაო განათლებისა, შემუშავებული სამინისტროს მიერ, ჩეხოვისა. ბ) შკოლის ტიპი საყოველთაო განათლების შემოღების (სამინისტროს კანონპროექტის გამო), აბრამოვისა. გ) საყოველთაო განათლება საზღვარ გარეთ და სხვა..

8. „Педагогическій Листокъ“. ფასი—2 მანეთი, გამოდის წელიწადში 8 ჯერ. (აღრესი: Москва, редакция „Педагогическій Листокъ“ Большая Молчановка, домъ 24, Д. И. Тихомирова.) მივაქცევ მასწავლებელთა უმთავრეს ყურადღებას უკანასკნელ სამ ჟურნალს.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ის სამწუხარო მოვლენა, რომ ჩვენს სახალხო შკოლებში, არც ორ-კლასიანში და მით უმეტეს ერთ-კლასიანში არ მოიპოვება ქართული საბავშო ჟურნალები „ჯეჯილი“ და „ნაკადული“. ზოგიერთი მასწავლებლები ამ მოვლენას ხსნიან მასწავლებელთა უსახსრობით. მართალია, ძლიერ გაჭირვებულ მდგომარეობაშია ჩვენდნილი სოფლის მასწავლებელი, მართალია, უნუგეშოა არსებულ წესწყობილების ფარგლებში მისი ყოფა-ცხოვრება, მართალია ისიც, რომ მისი ბეჩავ მდგომარეობის გაორკეცებას ხელს უწყობს დღეს რეაქციისგან წელში გამაგრებული სამოსწავლო მთავრობა, მაგრამ განა ასეთსავე და უფრო ცუდ მდგომარეობაში არ იყო ჩაყენებული გერმანიის, საფრანგეთის, უნგრეთისა და სხვა სახელმწიფოთა სახალხო შკოლის მასწავლებელი! განა იქაც ორი მხეცის კლანჭებში, ბიუროკრატისა და კლერკალიზმის, არ ქმნიან და ეს ხალხის მოღვაწე... შეხედეთ ახლა სულ სხვა სურათი გეხატებათ თვალწინ! წინეთ იეზუიტების მორჩილი მონა,—დღეს თავისუფალი მოქალაქეა, წინეთ უვიცი, თვითონ სწავლა-აღზდას მოკლებული —დღეს ყოველ მხრივ განათლებული, ეპოქის ენციკლოპედისტია და სხვ... რამ მიიყვანა ასეთ ჩვენთვის ჯერ კიდევ სანატრელ მდგომარეობამდე დასავლეთი ევროპის სახალხო შკოლის მასწავლებელი? რამ და — ბრძოლამ. ბრძოლამ საერთომ, კოლექტიურმა. მაგრამ რომელი იარაღი ამჯობინა მან ბრძოლისათვის? ყველაზედ უფრო მკრელი, ბასრი — ეს იარაღი განათლებაა. მან დააწერა თავის სამოქმედო დროშაზე ჟან მასეს მიერ წარმოთქმული სიტყვები: „ყოველად შეუძლებელია არსებული პოლიტიკური წესწყობილების გადაქმნა, ხალხის გაუთვითცნობიერებლათ“, და შეუდგა მტკიცეთ თავის მოვალეობის ასრულებას. მან გამართა სახალხო კით-

ხვები, დააარსა სახალხო ბიბლიოთეკები, გახსნა საკვირაო შკოლები, გამართა მოზღლითათვის მისაწვდომი ლექციები და სხვა. უმთავრესი ყურადღება მიაქცია მან შკოლას. შეიტანა შკოლაში ცხოველმყოფელი სული, მოსპო კაზარმული დისციპლინა და მის მაგივრათ დაამკვიდრა სრული სისტემა ზნეობრივ ზედ-გავლენისა მასწავლებელ - ამზდელთა მოსწავლეებზე, დაამარცხა კლერიკალიზმი და დაუმორჩილა შკოლა ბუნების ზე-გავლენას, დაუთმო ფართო ადგილი თვითმოქმედებას... ერთი სიტყვით, შკოლა შეუფარდა ხალხის ცხოვრების რეალურ პირობებს. ყველა ეს მოიმოქმედა სოფლის მასწავლებელმა საკუთარი ბრძოლით. სწორეთ ამგვარი მოქმედება მართებს ჩვენს მასწავლებელსაც. ჯერ შკოლას უნდა ავასრულებინოთ თავისი წმინდა დანიშნულება, მან უნდა აგვიზარდოს თავისუფალი მოქალაქე, დამოუკიდებელი რწმენის, მტკიცე პრინციპის მქონე პირი. ამისათვის კი მშრალი სახელმძღვანელოები არ კმარა, საჭიროა კითხვის სურვილის აღძვრა მოზარდ თაობაში, რისთვისაც ჩვენი საბავშვო ჟურნალები „ჯეჯილი“ და „ნაკადული“ უნდა შეადგენდნენ აუცილებელ კუთვნილებას ჩვენი შკოლების ბიბლიოთეკებისას. ამ ორი ჟურნალის მეტი არა გვაბადია რა და ამითაც არ ვისარგებლოთ, ეს მიუტყვებელი ცოდვაა. ამ ჟურნალებში შეხედებით კარგათ დალაგებულ სხვადასხვა სამეცნიერო მასალას: ისტორიიდან, ფიზიკიდან, პოლიტიკური ეკონომიიდან, ანატომია-ფიზიოლოგიიდან, ზოოლოგიიდან, გეგეინიდან, მინერალოგიიდან და სხვა...

აი სწორეთ ასეთი ჟურნალები დიდს სამსახურს გაუწევენ შკოლას წმინდა მოვალეობის შესასრულებლათ.

ვარ. ობჩელი.



მწიგნობრობის გავრცელების საჭმე რაჟა-ლენხუში.

დაბოლო ხალხში მწიგნობრობის გავრცელება, მარტო ვაჭრული მიზნით ამ წმინდა საქმეს არ შეფერის და იგი საზოგადოებაში ვერც იდეურ თანაგრძობას მოიპოვებს. აქ საჭიროა, როგორც იდეურათ დაინტერესებული, ისე ვაჭრულ გამოცთილებით აღჭურვილი მომქმედი პირები ხელმძღვანელობდნენ საქმეს. პირველი უმეორეთ არ ვარგა და მეორე უპირველოთ, რადგან თუ პირველმა გაგიტაცა, მის შესასრულებლათ ნივთიერი სახსარი აღარ გექნება, ხოლო თუ ამ საქმის ხელმძღვანელნი ვაჭრულმა ინტერესმა ჩაითრია, მაშინ ამ საქმეს საზოგადოებრივი ხასიათი ეკარგვის და იგი ჩვეულებ-

რივ მეწვრილმანის საქმეთ იქცევა, კერძოდ უნტერესებს ემსახურება.

მე, მოვიკიდე რა ამ საქმეს ხელი, აზრათ დავისახე ამქრეთის ჰოვანციებში ჟუნდალ-გაზეთებისა და წიგნების გასავრცელებლათ აგენტურა მამქეყე, რამ მკათხველს შეძლება ქანებოდა მაქლოთავთავს დროზე ევაქელგვარა ჩვენს გამცემქება ხოლო გამცემქება უზუნველყოფილიყვენ სვედნი ფულას ანგანაშების უკლებლავ მაქებაში, რათა ამგვანათ მათ ხელმავლე წარმოქებას საქველმამქედა ხასიათი ან ქანებოდა და თავანთთა გამცემქება განკვამთ.

ამ მიზნით სამიოდ წელიწადს მარტო ვიმოქმედე ქუთაისში, სადაც ეს საქმე ყველამ იცის როგორათაც მაქეს დაყენებული და შინაურ და გარეგან მტრებს რომ ხელი არ შეეშალათ კიდე უკეთ იქნებოდა იგი მოწყობილი. მეოთხე წელიწადს მინდოდა საქმე გაფართოვებულიყო და გავმართე მოლაპარაკება დასავლეთ საქართველოს ყველა უმთავრეს რაიონების აგენტებთან. მინდოდა მთელ იმერეთში ორი ან ოთხი კაცი ეყოფილიყავით გამოცემლების წინაშე პასუხისმგებელნი და ჩვენ გვეყოლოდა დანარჩენ ადგილებში თანამშრომლები. ოთხივემ სამოქმედო რაიონები დავინაწილეთ და თავთავიანთ ადგილებში მოქმედება დავიწყეთ, შევნიშნავ, რომ ყოველივე ეს მოლაპარაკება-შეთანხმება სიტყვიერათ იყო, ნოტარიუსისათვის არ მიგვიმართავს, თუმცა, როგორც ბოლოს აღმოჩნდა, ჩვენში ასეთი ფორმალიზმი მწიგნობრობის საქმეშიც საჭირო ყოფილა, რადგან ჯერ კიდევ უკულტურონი ეყოფილვართ. საქმემ ისე ძველებური ხასიათი მიიღო, დაიშალა ეს ოთხთა კავშირი და დღეს ყველა თავის ნებაზეა მიშვებული, როგორც მოეხსიათება, ისე აწარმოებს მწიგნობრობის აგენტურას.

მე, ღრმათ დარწმუნებული, რომ აგენტური მოუწყობლათ ჩვენი გამოცემლები თავიანთი მცირედი შემოსავლით ვერ იარსებებენ, ფართოთ შეუდექი ჩემ რაიონში ამ საქმის ორგანიზაციას, გავიჩინე 15 სხვადასხვა ადგილას აგენტები, რომელთაც უგზავნიდი მუდამ დღე ყველა ჩვენ დღიურ და კარეულ გამოცემებს და ახალ წიგნებსაც. გავზავნე - გამოგზავნაშიაც მელინიეკე-მედლეფენებმა რაჟა-ლენხუმის, ხონის, ნაოლაღვის და ბაღდათისკენ დახმარება აღმომიჩინეს და სულ მცირე სასყიდლით მიქონ-მოქონდათ ვაზეთები. ამნაირათ დაარსდა მჭიდრო კავშირი ჩემი რაიონის პროვინციებთან. რაჟა ლენხუმში შარავხის ყველა ათამდე სადგურზე მყავდა აგენტები. ასევე არის საქმე მოწყობილი ხონსა, ნაოლაღვისა, ბაღდათსა და ტყი-



ბულში. მასა ჩემ საქმესაც შევმა ყოჩანმა დასჩხავლა და ჩემგან დამოუკიდებელმა გარემოებებმა ასე მოწყობილი საქმე ამიწეწ-დამიწეწა.

ასე ვაწარმოებდი საქმეს თითქმის ერთ წელიწადს, მარა წრევანდელ რეაქციასთან ერთათ ჩემ გამოწყობულ საქმემდიც მოაღწია საზოგადოების ნაძირალების შურმა და მტრობამ და იგი საგრძნობლათ შემიფერხა, ჩამიფუშა. მკითხველს მოეხსენება, რომ შურით აღტურვილთა „დანოსების“ წყალობით აღმინისტრაციამ ამ წლის 22 მარტს წიგნის მალაზია და ჟურნალ გაზეთების კანტორა „კოლხიდა“ დაკეტა და რაც რამ წიგნები მქონდა ფქვილიან ტომრებში ჩაყარა და არხივში თავგების სახრავათ წაიღო. ოთხი თვე იგი დაკეტილი იყო და დღესაც ამ სახელწოდებით დაკეტილია. ამან დიდძალი ზარალი მომაყენა და მით ამ საქმათ რივიანათ მოწყობილი საქმის ვაფართოება უკან დახია ორი-სამი წლით და დღეს ყოველივე ხელახლა მოსაწყობი შემექნა. რაკი ამდენი ზარალი მომივიდა ხარჯებმაც შემოსავალს გადააკარბა, კანტორის დახურვის ორი თვის შემდეგ იძულებული ვაგვითი პროვინციებში კავშირი შემეწყვიტა დროებით, რათა აქაც, თვით ქალაქში ეს საქმე არ ჩამექრო, რადგან მე მის წამოებაში გარდა ნივთიერ საღსრისა, ზნეობრივ კმაყოფილებას ვგრძნობ და არა ჩინოვნიკურ საქმიანობათ მიმაჩნია. ამრიგათ ხელი ავიღე რაქა-ლეჩხუმში გაზეთების გზავნაზე, —ხალხში სინათლის შემტანი უსაჭიროესი საშვალება, მოაკლდა ყველასგან მივიწყებულ მხარეს.

დღეს ყველა ყოფილ ჩემ აგენტების და იქაურ ნაცნობ-უცნობებისაგან წერილები მომდის „განაგრძე ისევ გაზეთების გზავნა, თორემ დავყრუვდითო“ აი როგორ მემუდარება ერთი რაქველი აგენტი წესიდან გაზეთების გზავნის შესახებ: „რალა გვეშველება, ისიდორე, ამისთანა დროს, ხომ თლათ დავიდუბებით უგაზეთობით. გვეცი პატივი და ნუ მოგვისწახბ გასკეთების გაზავნას. როგორც მე, ისე გთხოვს მრავალი ჩემისთანა. არაფერს ვაზარალებთ, თუ რამე დაგეკარგება, ჩვენ თვითონ ვზღავთ. გულს ნუ გაიტეხ და მაგ საქვეყნო კეთილ საქმეს ხელს ნუ უშვებ. აქეთური ზარალის ნუ გეშინია, ჩვენ არაფერს ვაზარალებთ. ახლად დადი მოთხარხარებებს გასკეთების. რა გვეშველება! ხომ დაგადუბეთ, ამისთანა დროს გასკეთების ხელის შეშვება სწორეთ სიკვდილის სწორათა.“

აი როგორ მონატრული არის რაქა-ლეჩხუმის მკვიდრი ჟურნალ-გაზეთების და როგორ ყოფილა მათში ვალვიძებული სურვილი მწიგნობრობისადმი

ეს კიდე რა არის იმასთან შედარებით თუ რა ხვეწნა-მუდართომომმართვენ ხოლმე იქიდან ჩამოსტრუბი, როცა ქუთაისში სალაპარაკოთ მნახვენ: გვიშველე, კაცო, თორემ შენი მტერია მთლათ გამოვყრუვდით იმ მთებში უგაზეთობით, გამარჯვებისათნავე მომახლიან ხოლმე სიტყვას ისინი. მეც ამაზე გული ამიჩუყდება და მართლაც ზნეობრივათ დანაშაულათ ვგრძნობ მათ წინაშე ჩემს თავს მით, რომ შეჩვეულთ ეს გონებრივი საზრდო მოუსპე ამ ხანებში. მარა რაც მოვიმოქმედე, ისევ უსახსრობის და მასთან მარტოხელობის გამო. ერთი კაცი ვერ გაუვდდი ამ საქმეს; დღეს იგი დახმარებას ითხოვს და თუ ასეთები აღმოჩნდება, მე კვლავინდებურათ და ახლა კიდევ უკეთ განვაგრძობ ამ სახალხო საქმეს.

აი ამიტომ მე დიდათ მიამა და გამოუთქმელი ზნეობრივი სიხარული ვიგრძენი, როცა თფილელ ახალგაზრდათა ჯგუფის მოკლე წერილი წავიკითხე „ჩვენ გზაში“. ახლა კი მარტო აღარ ვგრძნობ ამ საქმეში თავს და იმედი მაქვს რაკი ჩვენ ერთმანეთს გავიცნობთ, თფილელნი თავიანთ გატაცებულ სურვილებს ჩემ გამოცდილებას შევუთანხმებენ და ამნაირათ რაქა-ლეჩხუმელების ხვეწნა-მუდარას გასკეთება გვაგზავნითო —ბოლო მოვლება. როცა ამას წინეთ თფილისში ვიყავი, ვავიგე, რომ რამდენიმე ახალგაზრდას უკვე შეუფროებია დიდძალი წიგნები რაქის ბიბლიოთეკისათვის და ამ ნიადაგზე საქმე დაწყებული ყოფილა. დღეს კი ამათ თავიანთი სამოქმედო პროგრამა გვიამცნეს და სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეს ახალგაზრდანი არ დაცხრებიან და ყოველივე ღონეს იღონებენ მის მოსაწყობათ. ჩემი რჩევაა თფილისში მოეწყოს ამ საქმის მტკიცე ორგანიზაცია და იქიდან იგზავნოს ადგილობრივი მომზადებული მუშაკნი სწავლა ცოდნის ხალხში გასავრცელებლათ.

ჩემის მხრით კი მე შრომას არ დავზოგავ, ჟურნალ-გაზეთებს და წიგნებს ყოველ დღე მივავწვდი ყველა ათამდე საფოსტო სადგურებსა და დაბებში. მხოლოთ ამ საქმის ხელახლა გამოწყობისათვის საჭაროა, გარდა მელინეიკე-მედლეეჩენების ამხანაგობის დათანხმებისა, რომ იმათ გაზეთები უსასყიდლოთ ზიდონ დანიშნულ ადგილებში, —საჭიროა აგრეთვე ამ თავით ას მანეთამდე გაზეთების საზიდავ მემის ჩანთების [„სუმკების“] დამზადება და აგენტების ამ თავითვე ჩამოვლა და დარიგება თუ როგორ უნდა ვავრცელონ ყოველივე გამოცემანი. საიმედო და შეგნებული აგენტების გაჩენა მით უფრო საჭიროა, რომ დღეს ამ რეაქციის ხანაში „ბნელი ძალები“ აკონებენ ხალხს, რომ გაზეთები არ იკითხონ, იქ მათი დამლუბავი ამბები წერიაო და სხვა. ბევრ ჩემ აგენტებს, მაგ., სამეგრელოში, სტრაჟნიკები და ზოგან ბოქაულებიც გაზეთების და ლეგალურ წიგნების ყიდვას უკრძალავენ და როცა აგენტებმა თავისი არ მოიშალეს დაუხიეს კიდევ გაზეთები და წიგნები; რაქა-ლეჩხუმში 3—4 ალაგას აგენტებს აღარ გააყიდვინეს გაზეთები, უხვედენ. „ბნელი ძალების“ აშვარ მოქმედების წინაღმდეგ საბრძოლველი იარაღი ხომ ის

ქვემოთაჲნი

საშვილებაა, რომელიც თვითონ ჯგუფს დაუსახავს და მაშ უსურვოთ მათ უმეცრების წინაღმდეგ ამ იარაღით მედგრათ და დაკვირვებით ბრძოლა...

რაჭა-ლეჩხუმის ადგილობრივ მკვიდრს კი ურჩევთ, რაკი ეს საქმე ზოგჯერ, ჩვენ აგენტებს და საზოგადოთ იქ მწიგნობრობის გავრცელების საქმეში მომუშავეთ ხელი შეუწყონ, როგორც სიტყვით ისე საქმით, რათა ახალ დროს შეუფარდონ თავიანთი მოქმედება და მოთხოვნებიანი. იცოდნენ რომ ყოველივე ბნელი ძილებისებურ მოქმედებისათვის ამის ჩამდენთ ხალხივე მოსთხოვს პასუხს სამართალს და მერე გვიანლა იქნება „თითზე კბენანი“...

ნიხლორე კვიციანიძე



ს ო ტ ლ ი ს ა მ ბ ე ბ ი.

სამბრაღის რაიონი. შემთხვევა მქანდა რ მ

დანიძე დღით სამტრედიის რაიონში დაგზავნილიყავ და იქაურებისათვის თვალი გადაქვლათ. თქვენმა მტერმა ხახალის ის, რაც მე იქ ვხასკე და გაკავებულ სადღა ის ცოცხალი და ახალი ახრებით აფრთხილებული სამტრედია, რომელიც მე მინახავს სამი წლის წინათ? მის ადგილზე თვალიწი გადაქვლათ შავთ ჩაწოლილი ჯოჯოხეთური სამტრედია, რომლის გარშემო თავი მოუფრთხილ სევა-უფრებს და სარდავთ მიძვინან. იშვასა შესვლებით ისეთ ადამიანს, რომელიც თავის ბედს არ ემდურადეს... გლეხებიდან გაიგონებთ ჩივილი: მთა ახალი განახლებად და გადასახადი გაათქვამდა... ასე რომ კი გურთხეულ რაიონში, რაქციის მეორებით, კაცობა და ადამიანების რიცხვი ძალზე გაზდილა, და თუ ასეთ პოლიტიკურმა მდგომარეობამ კიდევ დიდხანს გასახსნის იმედი უნდა ვიქნათ, რომ ეს კავებულები ცოცხლების მაგიერ მკვდრებსაც შესწამენ... სწორეთ ისინი, ვისაც სამი წლის წინეთ მოძრაობის ცხოველმყოფელმა სიამ იფერი შეუერთო, გაბერალი დივი დაუწყრილა და აძულეს ავი ხალხის მომსრუი გამოცხადება, დღეს, როცა რაქციის მაჯლაჯუნისათვის წაწვას ხალხს თავზე, თავიანთ სისხლ-სორც რაქციას მიაშურეს და აქიდან ხალხს სასტიკი რამი გამოუხსადეს... ახლა ესენი დღესასწაულდები... და ისე დღეს არ გაუშვებენ, რომ თავიანთ ღმერთ „ქაჩქარისათვის“ რჩი და სამი ისედაც გამოვლტყვებული მცხოვრები არ აწიოკონ.

ვიდეთ თუნდ ჩაჯალითისთვის ეწრის მამასხლისი ბ-ნი მედიტონ კავამბე. აბა ვინ იფიქრებდა, თუ ეს „ხალხის საქმისთვის თავდადებული“ კავებულები სეუსირცხვილოთ გათვალავდ იფიქრებდ იმავე ხალხის ინტერესებს? დან, არავინ იფიქრობდა და იმიტომაც აიწიეს მამასხლისათ. მარა დღეს ის რაქციის მარჯვენა სელოს ბეკრი „ბუხტოვნიკი“ დაიჭირა და კიდევ ბეკრს დაიჭერს, ბეკრი აწიოკა „ქაჩქარისათვის“ და კიდევ ბეკრს აწიოკებს, თუ ღმერთმა დაიცავს. ბ-ნი მედიტონის დღეს უფულოთ არავინ არ უყვარს და არაფერს აკეთებს. პასპორტი რ არის, იმასაც კი ვერ მიიღებთ ისე, თუ ათ შაურანი არ მიაერთოთ, და ამას იმიტომ შვება ელიტონი, რომ ის სამ წელიწადს „მოაცდინა“ ხალხმა.

როგორც „მოხარებულა“ კაცი, ვინც მისივე მისივეს ბა: დამღუპს ხალხმა, ასეთ ქესატ ადვილს ჩამაჯდო. ეწრის მამასხლისს არც კულამის მამასხლის-ათანსკე სტურთა ჩამოჩნება უკან იფულის სიყვარულში განსხვავება მხოლოთ ისაა, რომ ათანსკეს იფულის შვი ხასკა არ უყვარს, იშოვის თუ არა მას, მაშინვე წითელ სუნუსზე გადახურდავებს და ასე, „მიიტა“ რესიკით, სასწამოცხანსლული, თვალებ გადამოკაშლული, დადის მუდამ დღე დუქან-დუქან დაბა სამტრედიაში.

თუ ამ რაიონში მამასხლისები გაიტაცეს რქონს სიყვარულმა, ამ მხრით მთ არც სულეირი მამები ჩამოჩნებიან. ესენიც ჩამოულან საერთო იფურსულში და დღე-დღეზე თხოულობენ დანამის იფუას, თუმიტ სამი წლის წინეთ თავიანთი პირით უარყვეს ეს ხალხის-გან მეტი გადასახადი“. ამ ჯურის მღვდელთა შორის პირველობა ეკუთვნის სამტრედიის მღვდელს ბესარი ნ გლეგიშვილს. ის განცხადებულ ავტორიას ეწვეა თავის მრევლში, ნუ აყვებით ვადაც ურჯულთ ქუჩის ბიჭ-ბუჭებს, პატივი ენით თავის მღვდელს, სანთელი ბლომთ იფიდეთ ეგლესიაში, მიეცით მღვდელს ღვთის კანონით მინიჭებული დანამ და სსკა. ბესარიანი რასაკვირველია, ტუიფის არ იტყვის, ის „ღვთის კაცია“, მარა მიუხედავთ ამისა, ზოგიერთები მაინც უჩინებენ და ეკვით უცქერაინ ბესარიანი: ავტორიას. ბესარიანი მათ სარწმუნოების მოღვაღტეთ თვლის და ცისუმი ჩასმით ემუქრება... ასე რომ „სულეირი მამა“ ქაჩქარის გულისათვის ქრისტიკს მცნებს ღვთაობს და იუდას რაიონის სარეულებს არ თავილობს.

იმავე წვეულ ქაჩქარის წვეულ კავლენას ცუდათ უმოქმედია სამტრედიის რაქვასთან სამინისტრო სასწავლებლის შედამხედველ ბესარიონ ჯუღელსედაც... როგორც სარწმუნო წყარობიდან კავიგე ამ სასწავლებელში სწავლის საქმე ძალიან ცუდათ არის მოწყობილი, მარა მიუხედავთ ამისა შეტყუებული შედაგოვი მაინც მოწაიფებს იფულის მიუტანლობისათვის ერთი კვირის დროს არ აძლეკს და კინწის კერით ავდებს შეოლიდან... მარა არც გასაკვირია, ვინაიდან ბ-ნი ჯუღელი ყოფილი პოლიციელია და პოლიციელთა „კარბადინში“ სამი შებრადება არ სწერია...

სამტრედიის ვაჭრებს სომ მეტია ღამანაკი ისინი დღეს სრულ განცხრომში იმყოფებიან რაქციის იფრთების ქვეშ. დღეს ისინი რწეილსაც ტყავს გაძრობენ ისე, რომ იფესსაც არ განმძრეკებენ. ასეთია მათი დღევანდელი სულეირი განწყობილება და თუ რომელიმე მათგანს რეკოლოფრის ახრდილი მოეხანდა, მაშინვე მიიბრენს სსკებთან და რომ სელათ გაფანტონ ეს მათთვის თავზარდამცემა ბურუსი, სმა მალდა მორთავენ კამასტულს: რის „ერთობა“, რომელი „ერთობა“.

Solo.

ზეცდომის განყოფილება:

„სისკრის“ № 7-ში მეთაურ წერილში („მესამე დღე“): ბოლოდან მე 14 სტრიქონში, დაბეჭდილია: 1907. უნდა იყოს: 1905. იქვე „შენიშვნებში“, დაბეჭდილია: „შუთაინის ქართული გიმნაზიის მასწავლებელმა ივანე რატიშვილმა“. უნდა იყოს: „თვილინის“ და სხვა.